ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 12 (1413) 13-20 აპრილი, 1995 წ.

იგორ გიორგაძე:

## ვიმეორებ, სამუშია დაპატიმრებული არ გვყოლია

•

ზურაბ სამუშია:

## იმ მკვდარ ბიჭებს ვფიცავარ, ბორკილებით შემიყვანეს იზოლატორში

მე 8 გვ.

## ქიული შარტავას დახვრეტაზე აფხაზური წყაროებიდან ასეთი ინფორმაცია მაქვს...

მე 2 გვ.

## შევარდნაძე კი იდგა... მეფე ლირივით და იქნებ კიდეც ნანობდა, რატომ ავყევი გრძნობებსო

მე 2-4 გვ.

რეპლიკა

## „გამეორება ცოდნის დედაა, მაგრამ შემოქმედების მოსისხლე მტერი“...

**როცა** საკუთარ წერილს საკუთარ სათაურს არ არქმევ, სინდისი მოითხოვს, „ან ბრჭყალები იხმარო, ან პირდაპირ მიუთითო — სათაურს ამა და ამ ავტორს დავესესხეო.

ერთ გაზეთში წავიკითხე წერილი სათაურით — „აწმყო წარსულში“. გამიხარდა. 1990 წელს გამოცემული ჩემი წიგნიდან „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ ერთ-ერთი ქვეთავი გადმოუბეჭდავთ-მეთქი.

წერილი სხვისი აღმოჩნდა, სათაური ჩემი.

მეორე გაზეთში ამოვიკითხე: „სამწუხარო პარალელები“ წერილი იქაც სხვისი აღმოჩნდა, სათაური ჩემი.

მესამე გაზეთში ასეთი სახელდებით გამოქვეყნდა პუბლიკაცია— „დოქსოპულო, შენ დედა გყავს“?

ამ სათაურსაც მე დავესესხე კინოფილმს, მივუთითე კიდეც, ის კაი დედმამიშვილი კი არც პირველწყაროს იმოწმებს და არც ჩემი წერილი „გაახსენდა“.

ახლახან კიდევ ერთი „სიხარული“ განვიცადე. გადავშალე გაზეთი, ვნახე მოზრდილი შრიფტით აწყობილი — „როდემდე ვიაროთ უფალო უფულოდ“. ამ სათაურითაც მე მქონდა პუბლიკაცია გაზეთ „თბილისში“ 1989 წელს. ცხადია, კვლავ სხვის წერილს ერქვა ჩემი სათაური.

ტოტალური ყაჩაღობის ეპოქაში ასეთ მცირე „დანაკლისზე“ ხმას როგორ ამოვიღებდი, რომ არა ერთი გარემოება, მოსაპარი, ლიტერატურული ნაღვაწის მეტი, არაფერი გამაჩნია და რაც მაქვს, ერქვას ჩემი სახელი ძვირფასებო, მით უფრო, ლიტერატურული ნაღვაწი ჯერჯერობით პრივატიზებას არ ექვემდებარება და, ასეც რომ არ იყოს, მესაკუთრის უფლებით ალბათ ავტორი უნდა სარგებლობდეს.

ნოდარ გრიგალაშვილი




მ. აბაშიძის ნახატი

[library stamp]

## პაატა ზაქარეიშვილი:

# ჟიული შარტავას დახვრეტაზე აფხაზური წყაროებიდან ასეთი ინფორმაცია მაქვს...

**გაერთიანებული** რესპუბლიკური პარტიის წევრი — პაატა ზაქარეიშვილი სამხედრო ტყვეთა გაცვლის კომისიის არსებობის მანძილზე მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. ამ მხრივ, მაგრამ ამასთან ჰუმანურ საქმეს რომ ჩაუდგა სათავეში, ამაში, ალბათ თავისი როლი შეასრულა ბ-ნი პ. ზაქარეიშვილის განვლილმა ცხოვრების გზამ, მისმა მრწამსმა და შინაგანმა სწრაფვამ ყოველგვარი კონფლიქტის, დაძაბულობისა თუ გაუგებრობის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. ამ ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ პ. ზაქარეიშვილი უმაღლესი ფილოსოფიური განათლების მიღებისა (სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტში) და საბჭოთა არმიაში ოფიცრის ჩინით სამსახურის შემდეგ, 1989 წელს თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ხდება. შემდეგ კი ინიშნება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელად. ბ-ნ პ. ზაქარეიშვილთან კორესპონდენტის საუბარში მკითხველი ბევრ მისთვის უცნობ და საინტერესო ფაქტებს შეხვდება.

— ბ-ნო პაატა, ტელემაყურებელს უნახავს კადრები, სადაც თქვენ, როგორც სამხედრო ტყვეთა გაცვლის კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხვდე-

გაგრძელება მე-5 გვ.



ინფორმაცია

## სასამართლო საქმე პროკურორის წინააღმდეგ

**5 აპრილს** გაიმართა მთაწმინდის რაიონული სასამართლოს სხდომა, რომელიც განიხილავდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (გრპ) პოლიტიკური საბჭოს მდივნის, პარლამენტარ მერაბ ურიდიას სასარჩელო განცხადებას მისი პიროვნების პატივისა და ღირსების აღდგენის შესახებ. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდნენ გენერალური პროკურორისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რწმუნებით აღჭურვილი პირები.

გენერალური პროკურორის ინტერესებს იცავს პროფესორი ოთარ გამყრელიძე. მან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რათა მოწმედ დაიკითხოს რესპუბლიკის პროკურატურის დაცვის სამსახურის მუშაკი ვინმე ლაშა ქუსიკაშვილი. როგორც მოსარჩლემ და პროკურორმა განაცხადეს, ისინი არ არიან წინააღმდეგნი ამ შუამდგომლობისა.

სასამართლომ დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული თხოვნა შუამდგომლობის შესახებ და დაადგინა: 17 აპრილს, 11 სთ და 30 წთ-ზე გაიმართოს სასამართლოს მორიგი სხდომა, სადაც მოწმედ დაიკითხება ლაშა ქუსიკაშვილი.

გრპ-ის პრეს-ცენტრი
5 აპრილი 1995 წელი

რა მოხდა პარლამენტში?

# შევარდნაძე კი იდგა ყველასაგან მიტოვებული მეფე ლირივით და იქნებ კიდეც ნანობდა, რატომ ავყევი გრძნობებსო

**ს**აკმაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საქართველოში ოპოზიციონერობა სულაც არ არის ადვილი, არამედ გაცილებით ძნელია, ვიდრე შევარდნაძის „გვერდით დგომა". რადგან საზოგადოება ოპოზიციისაგან გაცილებით მეტს მოითხოვს. ამ პარადოქსულ ვითარებას თავისი ლოგიკა აქვს: ხელისუფლება მთლიანად დისკრედიტირებულია და რამდენადაც დიდია სურვილი გამოჩნდეს ახლანდელი, უმაქნისი ხელისუფლების ალტერნატივა, იმდენად დიდია მოთხოვნები მათ მიმართაც, ვინც ამ ალტერნატივაზე პრეტენზიას აცხადებს. ოღონდ ეს ალტერნატივა რეალური უნდა იყოს, საჭიროა საზოგადოებამ დაინახოს რაღაც კონკრეტული შედეგი. ახლოვდება არჩევნები და თუ ვინმეს ჰგონია, რომ რახან ხელისუფლება სახელგატეხილია, ხალხი რომელიმე ოპოზიციურ პარტიას მისცემს ხმას — ძალიან ცდება. რეალური ალტერნატივის არარსებობის პირობებში ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი საერთოდ არ მივა ურნებთან, ხოლო ვინც მივა, შეჩვეულ ჭირს ამჯობინებს შეუჩვეველს.

აქედან გამომდინარე, დღეს ნებისმიერი ოპოზიციური პარტიისთვის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს პოლიტიკური რეიტინგის გაუმჯობესება და მომავალი ამომრჩევლის თვალში „მომგებიანი ქულების" დაწერა. ეს არ ულისხმობს იდეური მრწამსის შეცვლას, ლაპარაკია ელემენტარულ ტაქტიკურ სვლებზე. არსებულ სიტუაციაში არავითარი აზრი არა აქვს სერიოზულად ცდილობდე პარლამენტის სხდომაზე ისეთი პროექტის გატანას, რომლის მიღებაც შევარდნაძეს არ სურს — ოპოზიციონერთა მხრიდან ყოველი უშედეგო მცდელობა მათივე პრესტიჟს ურტყამს. აქ შესაძლებელია მხოლოდ მორალური გამარჯვება, როცა შენი არგუმენტები იმდენად დამაჯერებელია, რომ მისი უარყოფა ოპონენტს ცოტა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

ამ თვალთახედვით ფრიად საინტერესოდ წარიმართა 6 აპრილის პლენარული სხდომა, რომელიც მთლიანად დაეთმო უშიშროების სამსახურისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის განხილვას. კვლავ წამოიჭრა იგორ გიორგაძის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი; თუმცა მისი თანამდებობიდან მოხსნა შევარდნაძის დასტურის გარეშე რომ შეუძლებელია — ძნელი მისახვედრი არ იყო, ისევე როგორც ის, რომ სახელმწიფოს მეთაური გიორგაძეს არ „გაწირავდა". რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი: მაკომპრომეტირებელი არგუმენტებით უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის „გაშავება", რაც, გულახდილად რომ ვთქვათ, არ მოხერხდა. ნოდარ ნათაძის მიერ მოყვანილი ხატოვანი შედარება: გიორგაძე არის მიმინო, რომელმაც უნდა დაიჭიროს მწყერი (ანუ უცხო ქვეყნის აგენტი), ოღონდ ჯერ ერთიც ვერ დაუჭერია, არადა მინდორი პირდაპირ გაძეძგილია ამ მწყრებითო — ეფექტური იყო, მაგრამ არასაკმარისი. რაიმე სხვა, უფრო ქმედითი არგუმენტი კი

გაგრძელება მე-4 გვ.

# აქა ამბავი იმისა, თუ როგორ უნდა „დავითრიოთ" ბინა ჰუმანიტარული დახმარებით

**ს**აქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში არსებობს ჰუმანიტარული დახმარების სამმართველო. ამ სამსახურის მესვეურთ მშვენიერი სამუშაო უშოვნიათ. იმისათვის, რომ ჰუმანიტარული დახმარება მიიღოს ინვალიდმა, მარტოხელამ და ა.შ. უნდა წარმოადგინოს ფორმა I. ეს თურმე იმისათვის სჭირდებათ, რომ გაიგონ შეიძლება თუ არა ბინის „დათრევა". ქალაქის ერთ-ერთ უბანში მარტოხელა სიმპათიურ ქალბატონს ვესტუმრე (გარკვეული მოსაზრებით მე მის სახელს და გვარს არ დავასახელებ). მან მითხრა: სოცუზრუნველყოფის ჰუმანიტარული დახმარების ერთ-ერთ სამსახურს მივმართე. აღნიშნული სამსახურიდან ჩემთან მოვიდნენ წარმომადგენლები და მკითხეს, ვის უმტკიცებთ ამ ბინას? მედიკამენტებს მოგცემთ იმ შემთხვევაში, თუ ბინაში ჩაგვწერთ.

კომენტარი სათანადო ორგანოებისთვის მიგვინდვია...

ნინო ზამთარაძე

საგაზეთო ფასადის უკან

# აშშ-სსრკ-ს ურთიერთობის კულუარული ისტორია

მოქალაქეს აინტერესებს, რაზე ლაპარაკობენ დახურულ კარს მიღმა დიდი და მომცრო პოლიტიკოსები, რა ენაზე ლაპარაკობენ (ოფიციალურზე თუ „მინაურულზე"), რა ტონით ლაპარაკობენ, რას ჰპირდებიან ერთმანეთს და რამდენად უხსნიან ერთმანეთს სხვათაგან დასამალავ ზრახვებს. გაზეთ „საქართველოს" განზრახული აქვს შეძლებისდაგვარად მიაწოდოს მკითხველს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ამ სახის ინფორმაცია, ამჯერად ვიწყებთ ახალი მასალის პუბლიკაციას ამასწინათ აშშ-ში გამოსული ბეშლოსისა და ტელბოტის წიგნიდან „უმაღლეს დონეებზე", რომელიც აშშ-სა და სსრკ-ს 1988–92 წლების ურთიერთობის ამგვარ კულუარულ ისტორიას შეიცავს.

## ყურში ნათქვამიც პირობაა

1987 წელს, 10 დეკემბერს, როდესაც რეიგანი აშშ-ის პრეზიდენტი იყო, ბუში კი ვიცე-პრეზიდენტი, ბუშმა ვაშინგტონიდან მოსკოვს მიმავალი გორბაჩოვი აეროდრომზე გააცილა. გორბაჩოვის „ზილის" უკანა სავარძელზე რომ სხდებოდნენ, ბუშმა უთხრა გორბაჩოვს, რაღაცა სათქმელი მაქვს ისეთი, რაც მირჩევნია არ გამოქვეყნდესო. გორბაჩოვმა თავი დაუქნია მისი ნათქვამის გაგების ნიშნად. ეს ის დრო იყო, როცა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დაწყებას ჯერ კიდევ რამდენიმე კვირა აკლდა და ბუში მიისწრაფოდა, რომ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატად ის დასახელებულიყო და არა ამ პარტიის ლიდერი სენატში რობერტ დოული. ბუშმა თქვა: „დიდი ალბათობაა იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს მოვიგებ მომავალ წელს. თუ ამირჩევენ და მე მგონი, ამირჩევენ — მე შევეცდები ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებასო".

ბუშის თქმით, იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც რეიგანის ვიცე-პრეზიდენტად იყო, მას თავისი ზომიერი განწყობილების მალვა უხდებოდა, რადგან ზოგზოგნი რეიგანის გარემოცვიდან მოხარულნი იქნებოდნენ, თუ შეეძლებოდათ, ვიცე-პრეზიდენტი კაბინეტურ ლიბერალად გამოეყვანათ. ამიტომ — თქვა ბუშმა, — 1988 წლის კამპანიის განმავლობაში ბევრი რამის თქმა დამჭირდება ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად და თქვენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთო".

გორბაჩოვმა უპასუხა „გავიგეო" და შემდეგში იგი ხშირად იხსენებდა ამ საუბარს, როგორც თავისა და ბუშის „ყველაზე მნიშვნელოვან ლაპარაკს". შემდგომი ოთხი წლის მანძილზე, როცა კი გორბაჩოვის თანამშრომელნი დაიჩივლებდნენ, ბუში რესპუბლიკელი კონსერვატორებისაკენ იხრებაო, გორბაჩოვი ამშვიდებდა მათ „ნუ წუხართ, მისი გული იქ არის, სადაც საჭიროაო".

გარდა არჩევნებისა და საარჩევნო პროპაგანდის ტექნოლოგიისა, ამ ეპიზოდში კარგად ჩანს ისიცრომ აშშ-ის ამომრჩეველი არაა მაინცდამაინც „ჩაკეტილი ლიბერალობის" მომხრე, არამედ მკვეთრი პოლიტიკის და , ფიგურალურად რომ ვთქვათ, მოგებაზე თამაშის ფასიც იცის. ქვემოთ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ამ ეპიზოდში მინიშნებული ერთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაც: აშშ-ის ამომრჩევლისთვის მისი პრეზიდენტის მუშაობის შეფასებაში მისი რუსეთთან ურთიერთობის უნარს დიდი ადგილი უჭირავს.

## დიდი პოლიტიკოსები ხუმრობენ

ბრეჟნევი რომ მოკვდა, ბუში და მისი მეუღლე აფრიკაში მოგზაურობდნენ. მის გასვენებაში გამგზავრებულ ბუშს ფრანკფურტში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსმა სსრკ საკითხებში მოახსენა ბრეჟნევის მონაცვლის ანდროპოვის პიროვნების შესახებ. მას სიცილად არ ჰყოფნიდა ჭორი, ანდროპოვი ამერიკანოფილია, შოტლანდიური ვისკი უყვარს და ჟაკლინ სიუზანის რომანებს ვერ სწყდებაო. პირიქით, თავისი „დიდი ჭკუით" იგი სოციალისტური წესრიგის აღდგენას ეცდებაო.

მოსკოვში რომ ანდროპოვს შეჰხვდა, უშიშროების ორივე ყოფილმა მეთაურმა იმხიარულა, „კოლეგები ვართო". საღამოს, ამერიკულ საელჩოში შინაურებილა რომ დარჩნენ, ამერიკელებმა დაასკვნეს, ეს კარგა კერკეტი ვინმე ჩანს და ფხიზლად ვიყოთო. 1984-ში, ანდროპოვიც რომ მოკვდა, ბუში კვლავ გაემგზავრა მოსკოვს სამძიმრისათვის. ახალ საბჭოთა ლიდერზე, ჩერნენკოზე ცნობილი იყო, რომ იგი ბრეჟნევს სიგარეტს უნთებდა, და გასაკვირი იყო, როგორ აღმოჩნდა იგი სათავეში. მისმა შემყურემ ბუშმა შეატყო, რომ დიდი დღე არც სოციალისტური ბანკის ახალ მედროშეს ეწერა. მან ელჩის მეუღლეს თავისი ფოტო დაუტოვა წარწერით: „შემდეგ გასვენებაშიც ჩამოვალ (ნუ წააკითხებთ ყველას)". საელჩოს თანამშრომლებს კი დამშვიდობებისას უთხრა „აბა, გაისამდე! აქ ისევ მოსვლა მიწევს".

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესი იმ დროს დასავლელთათვის თვალსაჩინო იყო, ავტორები წერენ: „ჩერნენკომაც კი თბილისში, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში თქვა, რომ სსრკ შინაგანი კრიზისის ზღურბლზე დგას".

## ახალ ლიდერებთან ურთიერთობის ძებნაში

რეიგანი პირველი პრეზიდენტი იყო ჰუვერის აქეთ, რომელიც სსრკ-ს ლიდერს არ შეჰხვედროდა. საყურადღებოა, რომ აშშ-ში ეს ნარვეზად ითვლებოდა, თუმცა ეს სრულებითაც არ მეტყველებს რიდზე ან სიყვარულზე, არამედ მხოლოდ რეალიზმის მაჩვენებელია. რეიგანი მისმა გარემოცვამ დაითანხმა ეძებნა ჩერნენკოსთან შეხვედრა, მაგრამ ჩერნენკომ უარი თქვა. ჩერნენკოს შემდეგ რომ გორბაჩოვი გახდა ლიდერი, იგი ბუშმა და სახელმწიფო მდივანმა შულცმა ინახულეს. გორბაჩოვი ხაზს უსვამდა,რომ აშშ-სთან კონფრონტაცია არ ჰსურს, მაგრამ არ იკარებდა ადამიანის უფლებათა თემას, როგორც სსრკ „შინაგან საქმეებში ჩარევას". მიუხედავად ამ უკანასკნელი გარემოებისა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო („სი-აი-ეი") წინასწარმეტყველებდა, რომ გორბაჩოვი „სწრაფად იმოძრავებს" (იგულისხმება: პოლიტიკური ევოლუციის გზაზე). ჯერ ერთი, ტელეეკრანზე ნაკლებად ჩანან სამხედროები. მეორეც, იგი ახალგაზრდაა, უნდა სსრკ-ს შეცვლა, თუმცა ღიზიანდება ადამიანის უფლებათა ხსენებაზე. კითხვაზე, კარგია თუ არა ასეთი მძლავრი საბჭოთა ლიდერი ამერიკელებისთვის, ბუში პასუხობს: „ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ნამდვილად გვინდა სსრკ-ს შეცვლა. აგერაა კაცი, რომელსაც ეს უნდა, მაგრამ როგორ იზამს იგი ამას, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, როგორი ურთიერთქმედება გვექნება მასთან. ამოცანაა არა მისი „შველა", არამედ ჩვენი ინტერესების დაცვა იმგვარად,რომ მის პოლიტიკაზე გავლენა მოვახდინოთ სასურველი მიმართულებით".

## თაფლობის წელთა დასაწყისი

1986 წელს რეიკიავიკში შეხვედრაზე გორბაჩოვმა მოულოდნელად მისცა რეიგანს წინადადება, რომ მკვეთრად შეემცირებინათ ბირთვული არსენალები. თუმცა საბოლოო შეთანხმება არ შემდგარა, ორივენი მხარს უჭერდნენ იმ აზრს, რომ სტრატეგიულ თავდასხმათა იარაღი უნდა განადგურდეს ათი წლის მანძილზე და ამან უნდა შეცვალოს ურ-



თიერთშეკავების სისტემა, რომელსაც ემყარებოდა მშვიდობა 1950 წლიდან. გორბაჩოვის ვიზიტისას ვაშინგტონში 1987 წლის დეკემბერში იგი მოინახულა ვიცე-პრეზიდენტმა ბუშმა და გორბაჩოვმა იგი თითქმის ორ საათს ალოდინა. გორბაჩოვის ვიზიტი ვაშინგტონში ტრიუმფი იყო: იგი ქუჩაში ესალმებოდა ხალხს და ხალხი ესალმებოდა მას, ასე რომ მის გვერდით მდგომ ბუშსაც კი, პრეზიდენტობის კანდიდატს, მის გვერდით ნაკლებ თუ ამჩნევდნენ. ამომრჩეველს პირველ ყოვლისა აინტერესებს, რამდენად ძალუძს კანდიდატს არჩევის შემთხვევაში წარმართოს თავისი ურთიერთობა გორბაჩოვთან. ამიტომ საარჩევნო კამპანიის მესვეურნი ურჩევენ ბუშს, მაქსიმალურად გაათამაშოს საბჭოთა საშიშროების ფაქტორი. ბუშიც, გორბაჩოვისადმი ჩუმად მიცემული გაფრთხილების შესაბამისად, ამკვეთრებს თავის კილოს სსრკ-ს მიმართ. ეროვნულ პრეს-კლუბში იგი აცხადებს, რომ გორბაჩოვი „თავისუფლებისმოყვარე დემოკრატი" კი არაა, არამედ „ორთოდოქსი თავგადადებული მარქსისტია". ხოლო რეიგანი, რომელიც ჩქარობს თავისი პრეზიდენტობის დამთავრებამდე მიაღწიოს შეთანხმებას ბირთვული იარაღის შეკვეცის შესახებ, იმდენად უტკბება გორბაჩოვს,რომ ამ კონტრასტულ ფონზე ბუშის რიტორიკა საბჭოთა ხიფათის წინააღმდეგ უფრო მკვეთრი ჩანს. 1988 წლის სექტემბერში ბუში საუზმეზე პატიჟობს შევარდნაძეს და, ისევე როგორც გადაუკრა ადრე გორბაჩოვს, ჰპირდება მას, რომ როცა აირჩევენ, იგი დაახლოების რეიგანისეულ პოლიტიკას გააგრძელებს. ბუშმა იცის, რომ მკვეთრი პოლიტიკით ცნობილ რეიგანს მასზე მეტი თავისუფლება აქვს კრემლთან ვაჭრობისა და ამიტომ ურჩევს შევარდნაძეს რაც შეიძლება მეტი შეთანხმება მოასწროს რეიგანის ადმინისტრაციის დამთავრებამდე. იგი ძალიან შიშობს, მისი ეს სიტყვები გარეთ არ გავიდეს (რადგან ამით არჩევნებში ხმები დააკლდება) და ამიტომ თარჯიმანს სთხოვს, თავისი ჩანაწერები გადასცეს.

## ფრთხილი ზეწოლა. კისინჯერის ვიზიტი მოსკოვში

უკვე პრეზიდენტად არჩეულ ბუშს 1988 წლის 18 დეკემბერს ჩუმად ეწვია კისინჯერი და შესთავაზა: „თქვენ პირველი პრეზიდენტი ხართ, ვისაც ცივი ომის დამთავრების რეალური შესაძლებლობა გაქვთ. საჭიროა არაფორმალური, ანუ გაუხმაურებელი დარიგება გორბაჩოვთან, რომელიც ძალთა რეალურ შეფარდებას დაემყარებაო. ამ ჩუმი გარიგების აზრი, მისი წარმოდგენით, ის უნდა ყოფილიყო, რომ გორბაჩოვი ძალით არ შეუშლიდა ხელს რეფორმებს აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთი კი არ გამოიყენებდა იქ მოსახდენ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცვლილებებს სსრკ-ს საწინააღმდეგოდ, მაგალითად, სსრკ-ში დაზვერვის გასაძლიერებლად ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოსაყვანად ვარშავის პაქტიდან. ამ რეფორმებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შეეძლებოდათ სულის მოთქმა შემდგომი ინტეგრაციისათვის დასავლეთთან.

კისინჯერმა წაიღო ბუშის წერილი მოსკოვში, სადაც მას უთხრეს, რომ გორბაჩოვის გუნდს აწუხებდა ბუშის მიერ რეიგანის მეგობრული პოზიციის განუახლებლობა ამდენი ხნის მანძილზე. თუ გორბაჩოვის პროამერიკულმა პოლიტიკამ დროზე არ მოიტანა ახალ-ახალი შედეგი ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთდათმობათა სახით, ეს შეასუსტებს გორბაჩოვის პოზიციას საკუთარი კონსერვატორების პირისპირო. კისინჯერმა შესთავაზა გორბაჩოვის გუნდის ერთერთ ძირითად წევრს, იაკოვლევს ჩუმი შეთანხმება აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციის ტემპის შესახებ, თუმცა გარიგების შინაარსი არ დაუზუსტებია. ხოლო იაკოვლევმა უპასუხა, რომ როგორც მან ეს კისინჯერის შრომებიდან იცის, კისინჯერი ყველგან ძალთა ბალანსის მომხრეა, რაც ხშირ შემთხვევაში „სტატუს ქვოს" შენახვას ნიშნავს. აქ კი კისინჯერმა შენიშნა: ამერიკელი საზოგადოება ძნელად თუ დაეთანხმება იმას, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გულგრილად უყუროს აღმოსავლეთ ევროპის დარჩენას საბჭოეთის ხელშიო.

მეორე დღეს კისინჯერმა გადასცა გორბაჩოვს ბუშის წერილი და ბოდიში, რომ რეიგანისებურ მეგობრულ ნაბიჯთა განახლება ჯერ ვერ მოხერხდა, რადგან ეს უკვე განვლილი გზის კიდევ ერთხელ მშვიდ გააზრებას მოითხოვდა. მან გაუმეორა გორბაჩოვს იგივე წინადადება, რაც იაკოვლევს უხსენა წინა დღეს, და მისი აზრი იკითხა. გორბაჩოვმა ჩაიცინა, „ამ კითხვის უკან სხვა კითხვაც იმალებაო". იგი გულისხმობდა, რომ ბუშს უნდოდა გაეგო, რამდენად მზად იყო გორბაჩოვი, აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლის დათმობა დაეწყო. მან თქვა, იდეა საყურადღებოაო, ხოლო კისინჯერის წასვლის შემდეგ კიდევ ერთხელ გაარჩია წერილი თავის თანამშრომელთან. ამ უკანასკნელმა უთხრა, ბუშის წერილი წინააღმდეგობას შეიცავსო: ერთის მხრივ იგი რეიგანის პოლიტიკის გაგრძელებას გვპირდება, მეორე მხრივ არც ამერიკის პოლიტიკის ცვლილებას გამორიცხავსო. გორბაჩოვმა არჩია, კმაყოფილი დარჩენილიყო იმით, რომ ბუშმა არ დაახანა მასთან მიმოწერის განახლება. მან საპასუხო წერილი მისწერა ბუშს „მსოფლიო მშვიდობისათვის" მუშაობის აუცილებლობაზე.

გორბაჩოვს ურჩიეს კისინჯერის გეგმა მიეღო. თუკი ბუშს უნდა ურთიერთკონსულტაციებით იმას მიაღწიოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის პრობლემებმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სხვა მხარეებთან ურთიერთობა არ გაართულოს, მით უკეთესიო.

## ვაჭრობით თუ მუქთად?

პრეზიდენტობის დასაწყისში ბუში ხალხს თავისი პოლიტიკის ორგვარი სახით წარმოუდგება. ერთის მხრივ, იგი ამბობს, ტერმინი „ცივი ომი" არ მომწონს, რადგან იგი ვერ ითვალისწინებს იმ მიღწევებს, რაც ურთიერთდაახლოებაში მოვიპოვეთო. მეორეს მხრივ, მისი უახლოესი თანამშრომელი ამბობს, გორბაჩოვს ევებ ჩვენი მიძინება და დასავლეთის რიგებში განხეთქილების შეტანა უნდა, მისი პოლიტიკა მხოლოდ მშვიდობიანი შეტევააო. გარიგების კისინჯერისეულ გეგმას აშშ-ის ადმინისტრაციაში ყველა როდი იწონებს, აღმოსავლეთი ევროპის თემაზე საბჭოეთთან მოლაპარაკება ამ რეგიონის მიმართ მისი უფლებების აღიარებას ნიშნავსო. მაგრამ რად გვინდა იმის ყიდვა, რასაც ისტორია მუქთად გვაძლევს? საბჭოეთის ძალა აღმოსავლეთ ევროპაში ხომ უამისოდაც ეცემა! გარდა ამისა როგორ მოიწონებენ ევროპელები მათ თავს ზემოთ მოლაპარაკებას მათი ბედის შესახებო?

## საფრთხობელა საფრთხობელად რჩება

ღმერთმა ნუ ქნას გორბაჩოვს გული გაუჩერდეს. ეს „პერესტროიკას" დააზარალებსო. დააზარალებს კი? პერესტროიკა ხომ შეუქცევადია. იგი იმდენად ღრმად წავიდა, რომ თვით მისი ავტორის პიროვნებას შორს გასცდაო. მეორეს მხრივ რა არ ხდება, ეშმაკს არა სძინავსო. ისიც გავითვალისწინოთ, რომ „პერესტროიკას" შეიძლება უკურეაქცია მოჰყვეს და რეაქციონერებმა გორბაჩოვზე შურისძიება, ან მისი ნაღვაწის ერთიანად გაუქმება მოინდომონო. გორბაჩოვის აქილევსის ქუსლი ხომ აღმოსავლეთ ევროპაა, სადაც მეტისმეტმა თავისუფლებამ შეიძლება ანტიკომუნიზმი და ანტისოვეტიზმი, ანუ სსრკ-ს ხელიდან დაძრომის სურვილი დაბადოს. ერთიც ვნახოთ და ევროპის მაგალითმა სსრკ-ში გადაინაცვლა, მოკავშირე რესპუბლიკებმა ლიბერალიზაცია და ავტონომია მოისურვაო! ეკონომიკურმა სისუსტემ შეიძლება გორბაჩოვი აიძულოს ავღანეთის ომს ზურგი აქციოს. შეუძლია შტატებს გამოიყენოს ეს ბერკეტი? ხომ არ გამოიწვევს მეტისმეტად აშკარა ზეწოლა რეაქციონერების გაძლიერებას?

საყურადღებოა, რომ წიგნის ავტორთა მიერ გადმოცემული ეს დიალოგი ბუშთან გამართულ შინაურ სემინარზე წარმოებს. შემდგომ პუბლიკაციებში გამოჩნდება, რომ რეაქციონერთა გაძლიერების შიში აშშ-ის სარუსეთო პოლიტიკის მუდმივი თანმხლებია, „პერესტროიკით" აღტაცება კი არც ისე ძლიერია ყოველთვის შინაურობაში, როგორც გარეთ ჩანს.

## შეკავების ეპოქა მთავრდება

აშშ-ის მიერ გატარებულმა სსრკ-ს „შეკავების პოლიტიკამ" (ანუ ე.წ. ძალის პოლიტიკამ), რომელიც 44 წლის მანძილზე ტარდებოდა, თავისი არსებობა გაამართლა, ახლა შესაძლოა სამხედრო ძალის შეკვეცის და პრობლემათა მშვიდობიანი გადაჭრის ეპოქა დგება, მაგრამ სსრკ მაინც შემზარავ სამხედრო ძალად რჩება, ამიტომ არ უნდა მივატოვოთ ის პოლიტიკა, რომელმაც ამ წარმატებამდე მიგვიყვანაო. მაგრამ სწორია თუ არა, რომ „პერესტროიკას" დავეხმაროთ? შეუწყობს თუ არა ეს დახმარება ხელს გორბაჩოვის მიერ პოლიტიკური საფასურის გადახდას?

ეს მსჯელობა ბუშისთვის 13/II 1988 წ. ხელმოსაწერად მიტანილი საიდუმლო დირექტივის ნაწილია. მისი წაკითხვის შემდეგ ბუში მსჯელობს: „შესაძლოა, საბჭოთა გამოწვევა ადრინდელზე უფრო დიდიც იყოს, რადგან იგი უფრო მრავალმხრივიაო". თანამშრომელთა აზრია: მარქსიზმი იდეოლოგიაში და ეკონომიკაში გაკოტრებულია, მაგრამ სსრკ კიდევ დიდი სამხედრო ძალააო. არ კმარა ჩვენი მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკის მარტოოდენ მოდიფიკაცია უახლესი ოთხი წლის მანძილზე. იქით ახალი მსოფლიო ჩანს. რეიგანის დროს ჩვენი პოლიტიკა იყო პასუხი მათსაზე. ახლა ჩვენი საკუთარი სტრატეგიით უნდა ვიმოქმედოთო". აქედან — რამდენიმე თვის შესვენება სსრკ-სადმი ჩვენი პოლიტიკის განვითარებაში. რაც შეეხება გორბაჩოვს — „სუპერსტარს", ჩვენ საქმე მხოლოდ მასთან კი არ გვაქვს, არამედ ქვეყანასთან, რომელიც მის შემდეგაც იარსებებს. განა გამორიცხულია, რომ გორბაჩოვი ის გამონაკლისია, რომელიც ადასტურებს წესს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევარდნაძე კი იდგა ყველასაგან მიტოვებული მეფე ლირივით და იქნებ კიდეც ნანობდა, რატომ ავყევი გრძნობებსო

მეორე გვერდიდან



არცერთ გამომსვლელს არ აღმოაჩნდა. ქვეყანაში რომ უმძიმესი მდგომარეობაა, მძვინვარებს ტერორიზმი, კანონი არ კანონობს და უშიშროების სამსახური პოლიტიკური შანტაჟის მიზნით გამოიყენება — მთლიანად ხელისუფლების კრიზისის მაჩვენებელია და ერთი უწყების ხელმძღვანელზე „ჯოხის გადატეხა" არ იქნებოდა მართებული. ის დროც წავიდა, „კაგებეშნიკური წარსული" რომ დიდ მინუსად ითვლებოდა. ასევე არაფრის მომტანი გახლდათ ბრალდებები „უსაქონლო ოპერაციების" შესახებ, რადგან დღეს საერთოდ შეუძლებელია კომერციულ მაქინაციებში მხილებით ვისიმე კომპრომეტაცია. ჩვენთან ხომ „ყველა რაღაცას ჩალიჩობს" და ტოტალური უკანონობის ქვეყანაში, როცა მმართველობის სადავეებთან გიორგაძეზე უარესი „ბულბულები ზიან" — რამდენიც არ უნდა იძახო: უშიშროების უფროსი ბამბის ქურდიაო, კაციშვილი ყურს არ შეიბერტყავს, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდება...

თვით „მთავარი ბრალდებული" კი საკმაოდ კეთილგანწყობილი, „კონსტრუქციული" ტონით ლაპარაკობდა, მოხერხებულად არიდებდა თავს საჩოთირო შეკითხვებს და პრაქტიკულად ვერცერთმა გამომსვლელმა ვერ „ჩაჭრა". გიორგაძის გადაყენებას აქტიურად მოითხოვდნენ ეროვნულ-დემოკრატები, მათ მხარს უჭერდნენ რესპუბლიკელებიც გარკვეული „დამატებებითა და შესწორებებით". სხვა ოპოზიციური ფრაქციები მარტო შეკითხვებითა და რეპლიკებით იფარგლებოდნენ, ხოლო ირაკლი წერეთელი 9 აპრილს, მთავრობის სასახლესთან მიტინგის ჩატარებაზე სანქციის მიღებით უფრო ჩანდა დაინტერესებული. თუმცა მთელი ოპოზიცია ერთსულოვანი რომც ყოფილიყო, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, რადგან სხდომა იგორ გიორგაძის აშკარა „სათამაშო უპირატესობით" მიმდინარეობდა. ის მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა „ხიფათის" წინაშე, როცა ზოგიერთმა დეპუტატმა ზურაბ სამუშიას სხდომაზე მოწვევა მოითხოვა (თავად სამუშია ამ დროს ქვევით, შემოსასვლელთან იცდიდა), მაგრამ ჯერ სპიკერმა რამდენჯერმე გადადო ამ საკითხზე კენჭისყრა, მერე მოხერხდა ისიც, რომ „საქმე ჩაიფარცხა"...

რაც შეეხება უმრავლესობის წარმომადგენლებს, მათი სტანდარტული ფორმულირებები: „ოპოზიცია კონკრეტულს ვერაფერს ამბობს", „კრიტიკას ჯობია გვერდში დავუდგეთ და დავეხმაროთ", „აცალეთ კაცს მუშაობა" და ა.შ. ოპონენტთა არგუმენტების სისუსტის გამო გაცილებით დამაჯერებლად ჟღერდა. აღსანიშნავია დეპუტატ ვახტანგ მუსელიანის სიტყვა: ხომ იცით, გიორგაძეს მაინც ვერ მოხსნით და ტყუილ-უბრალოდ რატომ ხმაურობთ; თუ რაიმე კონკრეტულ დანაშაულში დებთ ბრალს, ჯერ, როგორც წესია, პროკურატურაში იჩივლეთო. ისე, დღევანდელ მთავრობაში იგორ გიორგაძისთანა კომპეტენტური და ერუდირებული პიროვნება ბევრი არ არის და რა გინდათ, რას გადაეკიდეთ ამ კაცს, ვერ გამიგიაო... მოკლედ ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, თითქოს ოპოზიციონერებს კიდევ ერთი დამარცხება უნდა ეწვნიათ „მშრალი ანგარიშით", მაგრამ მათ მოულოდნელად ვახტანგ რჩეულიშვილი შეეშველა, რომელმაც საყვედურით დაიწყო: ასე მოუმზადებლად როგორ შეიძლებოდა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელთან შეხვედრაო და ბოლოს დაასკვნა — ყველაფერი იმის ბრალია, რომ კომისიები ვერ მუშაობენო. „კომისიის" ხსენებაზე დარბაზში სიცილი ატყდა, რადგან თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძეა, ხოლო ვიცე-სპიკერის გართულებანი ამ ნიადაგზე უკვე მართლა კომიზმის ზღვარამდეა მისული. რჩეულიშვილმა ერთი კი თქვა: ახლა თქვენ ისე არ გაგახარებთ, გიორგაძის ნაცვლად ნათაძის გადაყენების საკითხი დავსვათო, მაგრამ თავისთავად „ნათაძის თემამ", რჩეულიშვილისათვის „აქილევსის ქუსლმა" სხდომას ისეთი ელფერი შესძინა, გიორგაძის ხელმეორედ გამოსვლამაც ვერ გაახუნა; თუმცა მისი ხანმოკლე დისპუტი ირინა სარიშვილი-ჭანტურიასთან ნახერხით სავსე ყუთებისა და გაკუპონებული დოლარების თაობაზე, კვლავ უშიშროების შეფის სასარგებლოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ ტრიბუნაზე ედუარდ შევარდნაძე ავიდა, სხდომის დროს მონიშნული ჩანაწერები გაიშალა წინ და თავისი „საბოლოო სიტყვა" იმით დაიწყო, რომ წარბშეუხრელად განაცხადა: უშიშროების სამსახურის გადაქცევა პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტად გამორიცხულია, თუ გაგრძელდება სახელმწიფო აღმშენებლობის ამჟამინდელი კურსიო. ეს ისეთი „ბედაური ტყუილი" იყო, რომ გასაკვირი არაა, თუკი დარბაზი ახმაურდა (თუმც არც ისე ძლიერად). სპიკერმა წესრიგისკენ მოუწოდა პარლამენტარებს. ამ დროს ვიღაცამ ირონიულად და როყიოდ დაიძახა: „გაჩერდით, ნუ აბრაზებთ ამ კაცსო". შევარდნაძემ კი სრულიად მოულოდნელად აკრიფა ფურცლები და მიატოვა ტრიბუნა. გაისმა ხმები: „რა ჰქნა, გადადგა?" ძალოვანი სტრუქტურებიდან მოწვეული სტუმრები, თითქოს ამას ელოდნენო, ერთბაშად წამოიშალნენ და დარბაზიდან გავიდნენ. სპიკერმა სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა, მაგრამ დაავიწყდა ეთქვა თუ ხვალ რომელ საათზე შეკრებილიყვნენ. მანანა გიგინეიშვილი რატომღაც ირაკლი წერეთელს მივარდა და უზრდელები ხართო, უყვირა. წერეთელი გაბრაზდა: რას მერჩით, ხმა არ ამომიღიაო, ოღონდ ქ-ნი მანანა ამ განმარტებამ ვერ დაამშვიდა. ვახტანგ რჩეულიშვილი ივლიანე ხაინდრავას უმტკიცებდა: მე ნათაძის ჯინი კი არა მჭირს, უბრალოდ არ შეიძლება დღეს ასეთი რადიკალი ოპოზიციონერი თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე იყოსო... შევარდნაძე კი იდგა, ყველასგან მიტოვებული მეფე ლირივით და იქნებ კიდევაც ნანობდა, რატომ ავყევი გრძნობებსო. ასე დასრულდა ეს ღირსშესანიშნავი სხდომა. დეპუტატები დაიშალნენ. „კრება დარჩა მხიარული"...

დასკვნა: „პოლიტიკური ქულების" მოპოვების თვალსაზრისით, 6 აპრილის სხდომა შეიძლება შეფასდეს, როგორც ორმხრივი მარცხი. არავითარი აზრი არ ჰქონდა იგორ გიორგაძის გადაყენების საკითხის დასმას, რაკი არ მოიპოვებოდა მის წინააღმდეგ რაიმე „მომაკვდინებელი" არგუმენტი (ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნულ-დემოკრატებს და ნაწილობრივ რესპუბლიკელებსაც; მითუმეტეს, რომ ეს ორი ფრაქცია დღეს ოპოზიციის „გამწევი ძალაა" პარლამენტში). ვერც ახლა, ვერც უფრო ადრე, 24 მარტის სხდომაზე, დამაჯერებლად ვერ განიმარტა, თუ რატომაა ასე ჰაერივით აუცილებელი უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოხსნა და ამისთანა რა საშინელებებს ჩადის ეს კაცი... მეორეს მხრივ, სხდომის ტრაგიკომიკურმა ფინალმა სახელმწიფოს მეთაურიც ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ერთადერთი, ვინც მოგებული დარჩა, ეს არის თვით იგორ გიორგაძე, თუმცა ამან მთლიანად ხელისუფლების პრესტიჟს ბევრი ვერაფერი შემატა რჩეულიშვილის „ნათაძეფობიისა" და შევარდნაძის ტრიბუნიდან გაქცევის „წყალობით".

ერთი რამ კი ცხადია: ასეთი ორმხრივი დამარცხებები კიდევ უფრო აძლიერებს საზოგადოების აპათიას და მხოლოდ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი გარე ძალებისა და ადგილობრივი, უპრინციპო კარიერისტების წისქვილზე ასხამს წყალს. სუსტი ოპოზიცია პლუს უნიათო, უვარგისი ხელისუფლება — ქვეყნისთვის უბედურებაა. შეძლებენ თუ არა ოპოზიციური ძალები მომავალში მაინც არსებული ვითარების უფრო რეალურ შეფასებას და სათანადო დასკვნების გამოტანას — ამას პარლამენტის მორიგი სხდომებიც გვიჩვენებს; თორემ მარტოოდენ ხელისუფლების ტრაგიკომიკური უუნარობით თვითდამშვიდება, ცნობილი კინოფილმის, „შესანიშნავი შვიდეულის" ერთი პერსონაჟისა არ იყოს, იმ კაცს მოგვაგონებს, რომელიც მეცხრე სართულიდან მოფრინავდა ძირს და ამბობდა: „ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის"...

# 9 აპრილი. ისევ ნიღბიანები „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი"

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე ამბობდნენ „ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე ცოცხალიაო". გენერალი-ჯალათი როდიონოვი არ მომკვდარა, მაგრამ მისი საქმეც ცოცხალია. თუ როდიონოვმა, კოჩეტოვმა (სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე) და სხვებმა 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათიდან 9.20-მდე 16 კაცი, ქალი და ბავშვი მოკლეს, 6 სასიკვდილოდ დაჭრეს და ოთხი ათასზე მეტი მოწამლეს, ზუსტად 6 წლისა და 7 საათის თავზე საქართველოს დღევანდელმა ადმინისტრაციამ, რომელსაც სათავეში საერთო-სახალხოდ არჩეული ე. შევარდნაძე უდგას, ამ თარილის სამგლოვიაროდ გამოსული „ზვიადისტები" დაარბია და ხუთი სული საპოლიციო საბარგულებში ჩატენა. ამ ორი დარბევის პრაქტიკული შედეგები ერთმანეთს ვერ ედრება: სად 22 სულის მსხვერპლი და ოთხი ათასის ენით აუწერელი ტანჯვა წლების მანძილზე და სად — რამდენიმე კოპი? მაგრამ შეურაცხყოფის ბალანსი კი, ნამდვილად, 1995 წლის დარბევისკენ იხრება. სად ბოროტების იმპერიის დოპინგით აღგზნებული მსახურნი, რომლებიც პირნათლად იხდიდნენ თავის მაშინდელ „ინტერნაციონალისტურ" კაციჭამიურ მოვალეობას და სად - შავ ნიღბაფარებული ქართველი ახალგაზრდები პოლიციის სპეცრაზმიდან, რომლებსაც ხეირიანი სროლაც არავინ ასწავლა, მაგრამ თანამემამულეებზე ძალის გამოჩენაში კი კარგად გაავარჯიშეს! „რა დავაშავეთ? ის, რომ უბედურების ადგილზე ჩვენი გლოვის გამოსახატავად გამოვედით?" — ჩიოდნენ დარბეულნი. და ძნელი არ იყო იმის განჭვრეტა, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციის წინაშე და თბილისის აურჩეველი მერის წინაშე, ვინც ფორმალურად პასუხისმგებელია (ანუ ხელის შესახოცია), იმაზე, რაც გაკეთდა, სწორედ ეს კითხვა დადგებოდა (ან რა შესადარებელია „არასანქციონირებული" შეკრება ფილარმონიის წინ შეიარაღებული

გაგრძელება მე -5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გვერდიდან

ჯგუფების იმ არასანქციონირებულ რადიოფიცირებულ სირბილთან თბილისის ქუჩებში, რომელსაც იგივე ხელისუფალნი ოლიმპიური სიმშვიდით შეჰყურებენ). მაგრამ ხელისუფალთ ამ პროგნოზის ნიჭი არ ექნოთ. დიახ, ნიჭი, რადგან მათ ხილვა სიძულვილის იმ ლიბრმა დაუფარა, რომელიც ყველა სხვა სიმპტომზე უფრო ადრე მიგვანიშნებს,რომ ხელისუფალი გაკოტრდა და ქვეშევრდომის კითხვისათვის პასუხი აღარ შეეპოვება.

საათის ოთხისათვის შეკრებამ „სანქციონირებული" ადგილისკენ — დედაენის ძეგლისკენ გადაინაცვლა. საზარელია, მაგრამ ფაქტია, რომ მიტინგმა ჩაიარა რეანიმირებული სუკისთვის მარად სანატრელი ლოზუნგით — „ბოიკოტი გამოვუცხადოთ არჩევნებს". ეს იმას ნიშნავს,რომ დღეს კიდევ ერთხელ სულში ჩაფურთხებული და შეურაცხყოფილი მონაწილენი ოქტომბრის არჩევნებს პასიურ „პროტესტს" გამოუცხადებენ და მშვიდად ჩააბარებენ საქართველოს საჭეს შავ-წითელთა, ანუ რაიკომის მდივანთა და ყაჩაღთა დღეს არსებულ ტანდემს, ერთი — ორი ნომენკლატურული ლაურიატით შელამაზებულს. მაგრამ სხვა ხიფათიც არსებობს. ცხრაში, დილით გამოცხადდა, რომ ვიღაცას, „ალგეთის მგლების" ფსევდონიმს ამოფარებულს „ზაკვოს" შენობის კედლისათვის რამდენიმე ნატყვიარი დაუჩნევია და რუსეთის ელჩის რეზიდენციის წინ ჯიხური აუფეთქებია. ვინ იმალება ამ ფსევდონიმის უკან — დაზარალებული თუ რეალური დამზარალებელი — არავინ იცის, მაგრამ ასეთი ეპიზოდის განმეორება რომ შესაძლებელია, ყველანი ვხვდებით. ახლა კითხვა დავსვათ: რატომაა, რომ დღეს რუსების არმია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დგას და ჩვენზე ბევრად ძლიერია, ამ თავდასხმას თუ „თავდასხმას" იარაღით არ უმასპინძლდება? (აკი მშვიდად დახოცეს 84 უიარაღო ქართველი ბიჭი გორის ბაზაში 1992 წლის 18 ივნისს და ტანკებით ქალაქშიც გამოცვივდნენ). მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების იურიდიული სტატუსი საქართველოში დღეს ნულის ტოლია. თორემ თუ მათი საქართველოში ყოფნა დაკანონდება, მაშინ ერთი მცირე პროვოკაცია იკმარებს,რომ მათ თავისი სახელმწიფო დროშა გაშალონ და ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედება დაიწყონ!

მაინც ნუ შეშინდებით მკითხველებო და მეგობრებო! იმ შავ-წითელ სისხლიან ნისლს, რომელიც დღეს საქართველოს დასწოლია, დიდი მომავალი არა აქვს. საქართველოს დემოკრატიული, ჭეშმარიტი ეროვნული ძალების ურთიერთშეკავშირება ახლო მომავლის საქმეა. ბოროტების იმპერიას არასოდეს აღარ ექნება ის ყოვლისდამთრგუნველი ძალა, თავისი ციმბირითა და მილიონიანი დაუსჯელი რეპრესიების შესაძლებლობით, რომელიც ადრე ჰქონდა. იგი ვერასოდეს ვერც ერთ გამარჯვებას ვერ მოიპოვებს ვერც ერთ ყოფილ კოლონიასთან, გარდა იმ უბედურებისა, რომელშიც მარიონეტული ხელისუფლება ეყოლება თავის მსახურად. ქართველი ერი კი არც ისე დაცემულია, დაჩაჩანაკებული და ძალაგამოცლილი, რომ თავის სათავეში ერთგული ხელისუფლება ვერ მოიყვანოს. ხელისუფლება, რომელიც თავის ხალხს, მიცვალებულთა სულის საოხად შეკრებილთ ხელკეტებით არ დაერევა და არც ხალხი მოინდომებს ასეთი ხელისუფლების ჟამს უსანქციო მიტინგების გამართვას.




პაატა ზაქარეიშვილი:

# ჟიული შარტავას დახვრეტაზე აფხაზური წყაროებიდან ასეთი ინფორმაცია მაქვს...

მეორე გვერდიდან

ბით აფხაზური მხარის წარმომადგენლებს. მაყურებელს თვალში ხვდება ერთი გარემოება — თქვენი სიმშვიდე, სიდინჯე, მეტიც — დიდსულოვნება ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიცაა ტყვეთა, დაღუპულთა გვამების გაცვლა, ანდა ამ საკითხების მოსაგვარებლად მიმდინარე მოლაპარაკებები.

— პირველი პოლიტიკური გამოცდილება მივიღე რუსეთის ჯარში სამსახურის დროს. იქ გავაცნობიერე, თუ რას ნიშნავს საქართველოში რუსული ჯარის არსებობა, რა დანიშნულება აქვს მას და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის ამიერკავკასიის რეგიონს. თუმცა, მანამდეც საკმაოდ აქტიური ცხოვრება მქონდა.

ჯარში სამსახურის დროს შემეცვალა ცნობიერება. მანამდეც ჩემს თავს მორწმუნე კაცად ვთვლიდი.

ეს საქმე ბ-ნმა სანდრო კავსაძემ დაგვავალა გიორგი ბარამიძეს, რომელიც აგრეთვე ამ კომიტეტში მუშაობდა და მე, რადგან ჯერ კიდევ ყაზანის უნივერსიტეტში მყავდა აფხაზი მეგობრები. დავუკავშირდით გუდაუთას. იმ მხარეს აღმოჩნდნენ ჩემი მეგობრები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ჩემი არააგრესიული, მშვიდობიანი დამოკიდებულება მათ მიმართ და ჩათვალეს, რომ შეიძლება ჩვენზე დაყრდნობა.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ისე ხდებოდა, რომ ყაზანის უნივერსიტეტში ინტელექტუალური ძალები ძირითადად ლიმიტირებულნი იყვნენ ეროვნული ავტონომიებიდან, იგივე აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან, წარმოიდგინეთ აჭარიდანაც კი. მათ იქ პრორუსულად განაწყობდნენ. ზოგი მათგანი ჩემი მეგობარია, მაგრამ უმრავლესობა საკმაოდ კვალიფიციური ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელია, კარგად იმართებიან მოსკოვიდან. ჩემი სწავლის წლები ყაზანის უნივერსიტეტში, იყო უძრაობის პერიოდის აპოგეა და პოლიტინფორმაციის გარდა, ცოდნას იქ ნაკლებად მიიღებდით. უნივერსიტეტი ითვლებოდა პრორუსული მართვის იდეოლოგიურ ცენტრად. წლების განმავლობაში აფხაზებთან ერთ ოთახში მიხდებოდა ცხოვრება და ჩვენი მეგობრობა იყო ნამდვილი, მამაკაცური. ალბათ ამან გაჭრა; მათგან ყოველთვის მხარდაჭერას ვგრძნობდი. ეს იყო პირველი მიზეზი, ხოლო მეორე ის, რომ მე ასეთი პრინციპი მქონდა: თუ გინდა ქართველის ინტერესები დაიცვან იმ ტერიტორიაზე, რასაც აფხაზები აკონტროლებენ, თავად უნდა დაიცვა ჩვენს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზის ინტერესები. ამას ჩვენ მეტ-ნაკლებად ვახერხებდით. ნდობის მთავარი მომენტი იყო ის, რომ ჩემთვის, პირადად, განსხვავება არ იყო ქართველსა და აფხაზს შორის.

ომზე გამარჯვება შეიძლებოდა. მიმაჩნია, რომ შეიძლებოდა ამ ომზე (და არა ომში) გამარჯვება. მთელი ჩვენი საქმიანობაც აქეთ იყო მიმართული. აფხაზური მხარე შედარებით დადებითად განეწყო ჩვენს მიმართ (თუმცა მე ამ სიტყვებით მათ დანაშაულს არ ვამცირებ) და მშვიდობიანი გზების ძიებისას კომისიის საქმიანობა შეიძლება ხიდად გამოდგეს ჩვენსა და მათ შორის.

**— რა ბედი ეწია ამ კომისიას?**

— სულ რაღაც ორი თვეა,რაც კომისია დაიშალა. ტყვეები ფაქტიურად აღარ გვყავს. კომისიის საქმიანობა დაიდა მხოლოდ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებაზე. სამწუხაროდ, აფხაზური მხარე არ ამჟღავნებს დიდ დაინტერესებას ამ მხრივ, ხოლო ორ-სამ თვეში ერთხელ შესამოწმებლად გასვლისთვის სამთავრობო კომისია არაა საჭირო, მით უმეტეს, რომ შეიქმნა უგზო-უკვლოდ დაკარგულების საქველმოქმედო ფონდი, საკმაოდ აქტიურად მოქმედი.

ომის მიმდინარეობის ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი ჩვენი სამსახური განაგრძობდა მუშაობას, რამაც აფხაზური მხარის ნდობა გამოიწვია. ამჟამად აფხაზებთან სხვადასხვა ჯგუფები მუშაობს, ისინი კი მაინც ჩვენთან ამოწმებენ, თუ რამდენად შეიძლება მათზე დაყრდნობა.



**— ხომ არ ნიშნავს, რომ კომისიის დაშლა ნაადრევი იყო?**

— შეიძლება, მაგრამ მუშაობა ძალიან გართულდა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ერეოდა ჩვენს საქმეში. ხშირად, ჩვენს მიერ თითქმის დამთავრებამდე მიყვანილი საქმე სხვას აუღია თავის თავზე. ნაყოფის მოწყვეტა ხომ უფრო იოლია, ვიდრე მისი მოყვანა. ასეთი საქციელით ბევრი ცდილობდა ქულების მომატებას ხალხის თვალში. ამიტომ, მე ვფიქრობ, ბ-ნმა სანდრო კავსაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**— აფხაზების საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ რას იტყოდით, საითაძის შესახებ თუ გსმენიათ რამე?**

— აფხაზებს ჰქონდათ ერთი საკონცენტრაციო ბანაკი გუდაუთაში, ეს დაზუსტებულია. გარდა ამისა, იყო აფხაზეთის კონტრდაზვერვის სამსახურის გუდაუთის წინასაგამოძიებო იზოლატორი, სადაც ათავსებდნენ მათთვის მნიშვნელოვან ტყვეებს. სწორედ აქ ჰყავდათ მფრინავი ნადირაშვილი, რომლის თვითმფრინავი ჩამოაგდეს 1993 წ. 1 მაისს, ტყვარჩელის ზონაში. მისი დახსნა საკმაოდ გაგვიჭირდა. ზაფხულის პირზე ტყვედ ჩავიგდეთ რუსი ოფიცერი ჯაშუშობის გამო და რუსეთის დაწოლით აფხაზები დათანხმდნენ გაგვეცვალა ნადირაშვილზე. სწორედ ამ გაცვლის დროს პირველად შევხვდი საითაძეს, რომელიც აგრეთვე იზოლატორში ჰყავდათ. როგორც თვითონ მოგვითხრო, თურმე აჭარაში უნდოდა გადასვლა (თვითონ [illegible]ქაურია) და ტყვედ აუყვანიათ სოჭიდან ფსოუზე გადასვლისას. მის ნაამბობს აშკარად ეტყობოდა არარეალურობა, აფხაზები კი ცდილობდნენ, როგორმე ჩვენთ[illegible]კირო ტყვედ წარმოედგინათ იგი, რათა შემდეგ გაეცვალათ მომგებიანად.

ჩვენ საითაძე არ წამოვიყვანეთ, რადგან არანაირი ინფორმაცია არ გვქონია მის შესახებ და საკმაოდ საეჭვოდ მოგვეჩვენა.

შემდეგ, საითაძე გადაუყვანიათ ბანაკში, საიდანაც მის შესახებ საშინელი ამბები მოდიოდა: იგი ქართველებს სცემდა აფხაზების თვალწინ, მოკლედ ხელს აწერდა ყველანაირ დანაშაულს. გადავწყვიტეთ გამოგვეყვანა იგი, რათა ჩვენთან გაგვერკვია მისი ვინაობა, მაგრამ ამასობაში ომი განახლდა და აფხაზეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა.

შემდგომი დაკავშირება მოხერხდა ბ-ნი ასლან აბაშიძის საშუალებით, რომელმაც კატარღაც გამოგვიყო, რათა ჩვენი საქმიანობა გაგვეგრძელებინა და ძალიან დაგვეხმარა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მას.

ბ-ნმა ასლანმა თავისი დელეგაცია გააგზავნა გუდაუთაში, მათ 50 კაცი გამოიყვანეს, მათ შორის საითაძეც.

**— ჟიული შარტავას იდუმალებით მოცულ მკვლელობაზე ხომ არაფერი იცით?**

— მე ძალიან კარგად ვიცნობდი მას. წინათაობიდან პატივს ვცემ ბევრს, ვინც საღად აზროვნებდა. ასეთი იყო ბ-ნი ჟიულიც. ჩვენ ომის დროს დავახლოვდით. სამწუხაროდ, დღემდე საიდუმლოებითაა მოცული, რა ხდებოდა მის გარშემო, თუმცა, არის რაღაც მინიშნებები. ჯერ ერთი, ვინც მასთან ერთად იყო, ყველა არ დაღუპულა. სანამ მინისტრთა საბჭოს აიღებდნენ, რამოდენიმე ჯგუფი გამოვიდა იქიდან და ცოცხალი გადარჩა. მე ყველა მათგანს ვესაუბრე და გარკვეული სურათიც შეიქმნა. ღამით, 26-27-ში მინისტრთა საბჭო ცარიელი იყო. დილით, თათბირზე, მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოს დაცვის მიზნით შეეყვანათ ნაწილი, რომელიც გარშემო მდებარე სახლებში განლაგდებოდა და საჭირო შემთხვევაში დაიცავდა შენობას.

მინისტრთა საბჭო კვლავ გაივსო, ხალხი ჩვეულებრივ სამსახურში მოვიდა. სოხუმში განსაცვიფრებელი სიჩუმე იყო, ჩიტის ჭიკჭიკსაც კი გაიგონებდით, ბატონი ჟიულიც მოვიდა და თან შენობის დასაცავად მოჰყვა საკმაოდ სერიოზული შენაერთი. მოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძეც, ისაუბრეს მან და შარტავამ და საკმაოდ იმედიანად დაცილდნენ ერთმანეთს. შარტავა დარჩა, სადღაც ორი საათისთვის მოულოდნელად დაიწყო შტორმი და ნაწილი, რომელსაც გარშემომდებარე სახლებიდან უნდა დაეცვა შენობა, ადგილზე არ აღმოჩნდა, შენობას ცეცხლი წაეკიდა. გადაწყდა გაკეთებულიყო „დერეფანი". მანამდე რამოდენიმე პირმა გაურკვეველ ვითარებაში დატოვა საბჭოს შენობა.

ავღანელთა კავშირმა გააკეთა „დერეფანი", მაგრამ აფხაზებმა ყუმბარა ისროლეს და ერთი კაცი მოკლეს, რამაც გამოიწვია პანიკა, გასული ხალხი უკან შემობრუნდა. შენობის მეორე მხრიდან გაკეთდა მეორე „დერეფანი" — 9—12 კაცის შემადგენლობით. გამოსვლა შესძლო მინისტრთა კაბინეტის თავ-რის მოადგილემ და რამოდენიმე კაცმა. ე.ი. ამ დროს ალყა ჯერ არ იყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა გადარჩენა. ამათი გამოსვლიდან 10—15 წთ-ში ალყა შეიკრა. დარჩენილებს აფხაზებმა წაუყენეს ულტიმატუმები. ბ-ნმა ჟიულიმ დართო მოლაპარაკების ნება.

შემოვიდა რამოდენიმე შეუიარაღებელი კაცი, გადაკოცნეს შარტავა. „ჩვენ თქვენი მოწაფეები ვართ, ბრძანება გვაქვს თქვენ და თქვენი ხალხი ჩაგიყვანოთ გუდაუთაში, ოღონდ დაგვნებდით"-ო. ამას გვიყვებოდა სამი გადარჩენილი კაცი, ორი ავღანელთა კავშირის წევრი, რომელთაგან ერთი დახვრეტას ჩეჩენმა გადაარჩინა, მეორე კი წითელი სამკლაურით (სომხური რაზმების ნიშანია) გამოიპარა, ხოლო მესამე საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლავთ, იური გავა: „Грузия сегодния"-ს რედაქტორი.

გამოყვანისას აფხაზები სამხედროებს, ჩამოსულებს და ადგილობრივებს აცალკევებდნენ. ტყვეებს სცემდნენ, ვინც წაიქცეოდა, ადგილზე ხვრეტდნენ, ვინც ავტობუსამდე მიაღწია, გადარჩა იქ დახვრეტას. განაწილებისას გავა მოხვდა ავტობუსში სამხედროებთან, ჟიული შარტავა კი თავის დაცვასთან ერთად სხვა ავტობუსში ჩასვეს. ამ ავტობუსიდან ხალხი შემდეგ გადასვეს „იკარუსში".

გავა ვიღაცამ იცნო ბედზე, „ამას აქ რა უნდა, ეს ხომ გუდაუთაში გასაგზავნიაო". ჩამოსვეს ავტობუსიდან და მანქანით დააწიეს „იკარუსს". ე.ი. წინასწარ იყო ბრძანება, ვინ უნდა ჩაეყვანათ გუდაუთაში. ვინც გავასთან ერთად იყო ავტობუსში, დახვრიტეს აჩადარის ხიდთან. იქ, 9 აპრილის მემორიალთან, დიდხანს უპატრონოდ ეყარა მათი გვამები.

შარტავას გარემოცვამ განაგრძო გზა გუდაუთისაკენ. ახალი ათონის საგუშაგოსთან ავტობუსი გააჩერეს. მათ ავტობუსი ჰირდებოდათ სოხუმიდან ნაალაფარის გამოსატანად. იცნეს ჟიული შარტავა, ქართველებს ცოცხლებს როგორ გავუშვებთო და მოხდა შეხლა-შემოხლა, ატყდა სროლა. ტყვეების გარკვეული ნაწილი დახვრიტეს.

დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ,რომ იქ ყველა დახვრიტეს, მაშინ დახვრეტდნენ გავასაც, რომელმაც გაიარა ეს საგუშაგო. დადის უამრავი ხმები,რომ ესა თუ ის ადამიანი ცოცხალია. მანამ, სანამ ჩვენ ყველა ნეშტს არ გადმოვასვენებთ იმ სამარხებიდან, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, ძნელია თქვა, ვინ გადარჩა, ვინ დაიხვრიტა, რასაც გიყვებით ესაა უამრავი, მათ შორის რამოდენიმე აფხაზური წყაროდან შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებული. აი, ვთქვათ, აფხაზს ეკითხები: როგორ მოხდა? გლეხი სხვანაირად იტყვის, მეომარი სხვანაირად, მაგრამ ყველა დაახლოებით ერთსა და იმავეს ამბობს. მათთვის, ყველასათვის მნიშვნელოვანი იყო შარტავას ფიგურა და მისი გარემოცვა.

ესაუბრა
მერაბ ძათამაძე

# მეტ ეროვნულობას მოველით თქვენგან, ბატონო ედუარდ!...

## ხალხმა დაკარგა ცხოვრების საშუალება, დღეს კი სამშობლოს კარგავს

ბატონო ედუარდ, დიდი მწუხარებით მოვისმინეთ თქვენი გამოსვლა ტელევიზიაში, რუსეთისათვის ჩვენს ქვეყანაში სამხედრო ბაზების მიცემასთან დაკავშირებით. ამ ცნობამ შეგვაშფოთა, სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. თქვენ შესთავაზეთ რუსეთს, რომ მისი ჯარი 25 წელი კიდევ იდგეს საქართველოში. როცა ასეთ კაბალურ პირობებში გამარჯვებული ქვეყანა ჩაგაგდებს, რომელმაც დაგამარცხა და დაგიპყრო, რას იზამ, უნდა შეეგუო ამ უბედურებას, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის. მაგრამ ასე, ჩვენი ნებით დავიდგათ თავზე უღელი, ეს სრულიად არაბუნებრივი მოქმედებაა, ავადმყოფობას, მაზოხიზმსა გავს. შეიძლება გვითხრან, სწორედ რომ დამარცხებული ვართ რუსეთთან. ასეთ საზარელ პირობებს თავს გვახვევს გამარჯვებული რუსეთი დამარცხებულ საქართველოს. თუ ეს მართლა ასეა, ეს უნდა ვუთხრათ ხალხს. დამარცხებულმა ერმა გარკვეული ურთიერთობა უნდა დაამყაროს დამპყრობელთან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მტერი, რათა სწორი სამომავლო ამოცანები დავისახოთ. ასე აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, ვის სახელებსაც დიდი სიყვარულით ინახავს ხალხი.

ჩვენში უკვე ბევრი ამტკიცებს, რომ თქვენ ბუნდოვან, ბოლომდე გაურკვეველ შეხედულებებზე აგებთ თქვენს პოლიტიკას. არ გვინდა ამის დაჯერება, მაგრამ თქვენ ხან ამტკიცებთ, რომ ჩვენ რუსეთს არ ვებრძვით, რომ ის ჩვენი მოკავშირეა, რუსეთს უნდა,რომ საქართველო მთლიანი და დამოუკიდებელი იყოს. ზოგჯერ, თუმცა უფრო იშვიათად, თქვენს გამოსვლებში ატარებთ იმ აზრს, რომ თქვენ იძულებული ხართ აირჩიოთ პრორუსული ორიენტაცია. რუსეთი ჩვენ გვებრძვის და ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ მასთან ომი. საქართველო რომ გადარჩეს, თითქოს სჯობია ჩვენი ნებით დავემორჩილოთ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ აგვცდება ნგრევა და განადგურება.

ბატონო ედუარდ, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა თავის პოლიტიკაზე და ხალხმა უნდა იცოდეს ეს.

მე მგონია, რომ არ დასტურდება ის აზრი, თითქოს რუსეთს უნდოდეს საქართველო იყოს მთლიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა. როგორ შეიძლება ეს დავიჯეროთ, როცა რუსეთმა ჩამოგვაჭრა აფხაზეთი, იქ მისი ჯარი დგას და მშვიდად შეჰყურებს ქართველების გენოციდს. როგორც ამბობენ აფხაზეთში გენოციდის მეორე ეტაპი დაიწყო. რუსეთმა არ იკმარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩამორთმევა და ეხლა მოითხოვს, რომ მას მთელი საქართველო ჩაბარდეს. იმ პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, როგორც ჩანს, ეს ასეც მოხდება.

### სამწუხაროდ, ყველა ის სამწუხარო პროგნოზი, რომლებსაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები გამოთქვამდნენ, მართლდება

ყველა ისინი დადასტურდა იმ თვალთმაქცური მოლაპარაკებების შემდეგ, რომლებსაც რუსეთთან ვეწეოდით და რომლებისაც თქვენ გჯეროდათ, თქვენ ისინი ბევრს დააჯერეთ კიდეც. დღეს კი ყველასთვის ნათელია და თქვენც განაცხადეთ, რომ ჩვენ მოგვატყუეს.

ბატონო ედუარდ, ყოველივე ამის შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთი ჩვენი კეთილმოსურნე მოკავშირეა. თქვენ ბრძანეთ: საქართველოს არ შეუძლია თავისი შეიარაღებული ძალების შექმნა, რუსეთი ამაში დაგვეხმარება, შეგვიქმნის ჯარს. გარდა ამისა, სატელევიზიო გამოსვლაში თქვენ თავი მოუყარეთ არგუმენტებს,რომლებიც უჩვენებენ, რომ რუსეთის შემოსვლა ჩვენში სასარგებლო და საჭიროა. საქართველოს რუსეთის გარეშე არ შეუძლია ჯარის შექმნა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება და ეკონომიკურ კრიზისიდან გამოსვლა. მეგობარი რუსეთი დაგვეხმარება ამ ამოცანების შესრულებაში.

ბატონო ედუარდ, ძნელია ვირწმუნოთ, რომ ყოველივე ამას გაგვიკეთებს რუსეთი. თვითონ განსაჯეთ: ჯარი ხომ იმისათვის გვინდა, რომ ქვეყანა დავიცვათ აგრესიისაგან, შევინარჩუნოთ თავისუფლება.

### თუ რუსის ჯარი ჩვენს ქვეყანაში ჩადგება, რა უნდა დავიცვათ ამ ჯარით?

თუ ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში ვიქნებით, ის ჩვენ შეგვიქმნის ისეთ ჯარს, რომლითაც მის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ და დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ? ძნელია ამის დაჯერება! რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ასეთ ჯარს? ალბათ ის, რომ მან იბრძოლოს იმის წინააღმდეგ, ვისთანაც რუსეთს ექნება ომი. ასეთი ჯარი ჩვენ ერთხელ უკვე გვყავდა, როცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით. იცავდა ის ჩვენს ქვეყანას, ჩვენს დამოუკიდებლობას? იქნებ ასეთი ჯარი გამოგვადგება სხვა მეზობელი ქვეყნების სომხეთის, აზერბაიჯანის ან თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ისიც ვიცით, რომ რუსეთი ჩვენს მეზობლებსაც ჰპირდება სამხედრო დახმარებასა და ჯარის შექმნას. რაც რუსეთის დახმარებით შეიქმნება მას შეიძლება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი შეიარაღებული ძალები ვუწოდოთ? იმას ვისაც ჩვენში ჯარის ჩაყენება და ბაზები უნდა, შეიძლება ჩვენი სიძლიერე, მთლიანობა და დამოუკიდებლობა სურდეს? ძნელია ამის დაჯერება!

თქვენი მაინც სჯერა ხალხს და ამის მიზეზი ჩემის აზრით ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირეა. თქვენ ხალხს ჰპირდებით, რომ ნებაყოფლობით რუსეთთან გაერთიანებით ქვეყანას გამოიყვანთ საზარელ ეკონომიკურ მდგომარეობიდან. ხალხს ძალიან უჭირს და ერთხელ კიდევ შეიძლება დაგიჯეროთ. ამ ილუზიას აძლიერებს ის, რომ ჩვენი საზარელი მდგომარეობის ფონზე რუსეთის ფარგლებში ადრინდელი უბადრუკი ცხოვრება ხალხს კარგად, მიმზიდველად ეჩვენება. თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი დღევანდელი გაჭირვება რუსეთთან ურთიერთობიდან დაიწყო. ყველასთვის ცნობილია, რომ რუსის ჩექმამ სადაც კი შეაღწია ყველგან უბედურება და გაჭირვება გამოიწვია. რუსეთის იმედს გაჭირვებული ხალხი ძალაუნებურად ებღაუჭება. მაგრამ, ბატონო ედუარდ, თქვენც ხომ კარგად იცით,რომ რუსეთს არ შეუძლია ჩვენი დახმარება. იგი თვითონ არის გაჭირვებული, იგი დღეს სხვისი ხელის შემყურეა და დახმარების მაძიებელი. თვითონ რუსეთი დღეს ჰუმანური დახმარებებით ცხოვრობს. დავემონოთ ქვეყანას, რომელიც თვითონ ხელგაშვერილია, იმ იმედით რომ ჩვენ დაგვეხმარება, ძნელია გონივრულ ქცევად ჩაითვალოს. ამ იმედით ჩვენი ყოველი მოქმედება კრახით დამთავრდა. არ გამართლდა თქვენი კოლეგების ვარაუდი: „ესენგე — ეს არის კარაქი, შაქარი, პური, გაზი, სინათლე“ და სხვა. არადა ესენგეში ჩვენ ხომ ამისი იმედით შევედით. სირცხვილით არავინ გაწითლებულა იმის გამო,რომ ესენგე-ში შესვლის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ვშიმშილობთ და სიბნელეში ვიყინებით.

როგორც ვხედავთ, ძნელია იმისი თქმა, რომ რუსეთი ჩვენი კეთილმოსურნე ქვეყანაა და მასთან ნებაყოფლობით მორჩილება რაიმე სიკეთეს მოგვიტანს.

ბატონო ედუარდ, ეხლა ვნახოთ თქვენი შეხედულებების მეორე ვარიანტი, რომელსაც თქვენ ზოგჯერ გამოთქვამთ ხოლმე, როცა თვითონ გეჭვებათ რუსეთის კეთილმოსურნეობა ჩვენს მიმართ. თქვენ ბრძანებდით: მართალია, მოსაწონი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში რუსის ჯარი შემოგვყავს და ამით დამოუკიდებლობის გარკვეულ ასპექტებს ვკარგავთ, ეს ცუდია, მაგრამ ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა ამ ნაბიჯზე წასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიცდენთ უბედურებას.

რუსეთის მორჩილებაში შესვლით რომელი უფრო საშიში დამპყრობელის მონობისაგან გადავრჩებით? მეფე ერეკლე ასეთ საშიშ დამპყრობლებად სპარსეთსა და თურქეთს თვლიდა. დღეს ეს საშიშროება ალბათ არ არსებობს. ამიტომ მათი შიშით რუსთა მონობაში შესვლა ალბათ გონივრულ მოქმედებად ვერ ჩაითვლება. მე მგონია რუსეთზე უფრო საშიში მოძალადე დღეს არავინ არა გვყავს. მაშ რაღა დაგვრჩა? რუსეთთან კაბალური ურთიერთობით საქართველო უფრო ადვილად მოიპოვებს დამოუკიდებლობასა და ეროვნული სახელმწიფოს აშენების შესაძლებლობას? ძნელია ამის დაჯერება! გამოდის, რომ თუ ამას არ გავაკეთებთ, რუსეთი ძალით დაგვიპყრობს. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საჭიროა რუსეთს ჩვენი ნებით და სურვილით დავნებდეთ, ვიდრე მან ძალით დაგვიპყროს. მაგრამ თუ ეს ასეა, ნუ ვიბრძოლებთ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რატომ არ უნდა ვიყვიროთ ამის შესახებ?

### რატომ, უნდა დავუმალოთ მსოფლიოს ჩვენი ტრაგიკული მდგომარეობა?

რატომ არ უნდა იცოდეს ხალხმა ამის შესახებ? რა გამოდის, აქეთ ჩვენ ხალხს ვატყუებთ, რომ რუსეთთან კაბალურ ურთიერთობაში ყოფნა ჩვენთვის თითქოს კარგი და სარფიანი საქმეა, იქით კი რუსეთს ვატყუებთ, რომ ჩვენ ვაფასებთ და გვიყვარს ის, ამიტომ ნებით ვემორჩილებით. ამ პოზიციის დამცველებმა რესპექტაბელური ფორმულა გამონახეს: „ჩუმათ ვიყოთ, ყველაფერზე დავთანხმდეთ და როცა დრო მოვა, მაშინ ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის“. იქნებ მაინც სასარგებლოა ამ ფორმულით ცხოვრება, რადგან ამითი შეიძლება მართლაც გამოვრჩეთ რაღაცას? მაგრამ კარგად თუ ჩავუფიქრდებით, მაშინვე ნათელი გახდება ამ დებულების მიუღებლობა. აქამდე არცერთ დათმობას ჩვენთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

### მოგვცა რამე რუსთა ჯარების ჩაყენებამ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში? გვიშველა რამე ესენგეში შესვლამ?

მოგვცემს რამეს ბაზების მიცემა და ჯარის შემოშვება? ერთი რამ ცხადია, მორჩილებისა და მონობის მდგომარეობა თავისთავად იწვევს ამ მდგომარეობის გამართლების ახალ თეორიებს,რომლებიც ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმის სახით მოქმედებენ და გვაჩვევენ, ასატანს ხდიან ამ მდგომარეობას. უკანასკნელ ხანებში ჩვენში უკვე გაჩნდა რამდენიმე ასეთი თეორია. მაგალითად, საკმაოდ გავრცელდა შეხედულება, რომ რუსეთს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აქვს სრულიად სამართლიანი ინტერესები. ღმერთო ჩემო, შინაგანი კონფლიქტი და სინდისის ქენჯნა რას არ გააკეთებინებს ადამიანს. რასაკვირველია ეს ყველაფერი არაცნობიერ დონეზე ხდება. ასეთივე გრძნობებმა გააჩინა ჩვენში შეხედულება, რომ რუსეთს აქვს სამართლიანი ინტერესები ჩეჩნეთში. ამიტომ ის ტრაგედია, რაც ჩეჩნეთში ხდება, რუსეთის ბრალი არ არის. მაშინ როცა მთელი მსოფლიო აღდგა რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც ჩეჩნეთში გენოციდი მოაწყო

### ჩვენში გაჩნდა ხალხი, რომლებიც ამართლებენ რუსეთის ბარბაროსობას

ხალხი იქამდე მივიდა, რომ პარალელს ატარებენ რუსეთ-ჩეჩნეთსა და საქართველო-აფხაზებს შორის. კაცი, რომელიც თავის თავს დიდ პოლიტიკურ მოღვაწედ თვლის, ამბობს,რომ რუსეთს ისევე აქვს თავისი ინტერესების დაცვის უფლება ჩეჩნეთში, როგორც ჩვენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ჩეჩნეთი მართლა ისევე რუსეთია, როგორც სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოა? სხვათაშორის, სახაროვსა და მის მეგობრებს მართლა ასე ეგონათ. სწორედ ამის გამო არ გვქონდა მხარდაჭერა რუსეთში და მთელ მსოფლიოში. მადლობა ღმერთს, მსოფლიოსა და რუსეთისათვის თანდათან ნათელი ხდება ამ მხრივ ჩვენსა და რუსეთს შორის განსხვავება. უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენში ამ ხალხისთვისაც ნათელი გახდება,რომ რუსეთი ჩეჩნეთშიც, კავკასიაშიცა და საქართველოშიც აგრესიულ პოლიტიკას ატარებს და აღარ შეეცდებიან რუსეთის აგრესიული როლის მიჩქმალვას, რასაც რუსეთის ვერავითარი სამართლიანი ინტერესები ვერ გაამართლებენ. რუსული აგრესიული პოლიტიკის დაცვით საქართველო ვერაფერს ვერ მოიგებს. ასეთი პოლიტიკა ყოველთვის გამოიწვევს ეჭვს, რომ მის გამტარებლებს სხვა ფარული, პირადი მოტივები ამოძრავებთ, რომლებსაც საგულდაგულოდ მალავენ. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ბატონო ედუარდ, რომ თქვენ ასეთი მოტივები მოგაწერონ. ამის გამო თვით საქართველოსაც მიეწერება ისეთი ნიშნები, რომლებითაც ვერცერთი ქვეყანა ვერ იამაყებს. ამავე დროს ჩვენი ხელისუფლების საქმიანობაში ძნელი ხდება დავინახოთ ის ამაღლებული მოტივები, რითაც ჩვენი პოლიტიკა შეიძლება იქნას გამართლებული. მართლაც,

### როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის კაბალაში შეგვყავს, რას ვიღებთ ამის სანაცვლოდ?

ბატონო ედუარდ, თუ ჩვენ ნებაყოფლობით, იურიდიულადაც გავაფორმებთ რუსეთისადმი ჩვენს მორჩილებას, მრავალი ათეული წლის მანძილზე დავკარგავთ ნორმალურ ეროვნულ სახელმწიფოდ გახდომის შესაძლებლობას. რუსეთისათვის ბაზების მიცემა, რუსეთის ჯარის შემოყვანა, იქნება ახალი კოლონიალური ეპოქის დასაწყისი საქართველოში. ეს ტრაგედია იქნება ჩვენთვის და არც რუსეთისათვის იქნება კარგი. რუსეთისათვის კარგი იქნებოდა თუ ჩვენი სუვერენიტეტის შელახვის გარეშე, ჩვენში ჯარების ჩაყენებისა და ბაზების შექმნის გარეშე მოახერხებდა ჩვენთან თანამშრომლობას. ჩვენს ქვეყნებს დიდი პოლიტიკოსები რომ მართავდნენ, ამის მიღწევა შეუძლებელი არ იქნებოდა. რეალურად რუსეთისათვის მომგებიანი იქნება, თუ მას ჩვენი სახით ეყოლება არა „დამონებული, მლიქვნელი და შინაგანად მოძულე მეზობელი“, არამედ „თანამშრომლობაში მყოფი მისი და თავისი ინტერესების დამცველი და მისადმი დადებითი განწყობის მქონე მეზობელი“. ასეთი ურთიერთობის ჩამოყალიბება მეზობელთან, განსაკუთრებით კი ისეთ აგრესიულ სახელმწიფოსთან როგორიც რუსეთია, ცხადია, ძალიან ძნელია, მაგრამ ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწისათვის, როგორც თქვენ ბრძანდებით, ეს შეუძლებელი არ უნდა იყოს. მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ვარიანტი თქვენ არ აირჩიეთ. ასეთ ურთიერთობაში არიან რუსეთთან ფინეთი, ნორვეგია და ასეთ ურთიერთობას აყალიბებენ ბალტიისპირა ქვეყნები. მათაც დიდი სიძნელეების დაძლევა სჭირდებათ, მაგრამ მაინც ახერხებენ ამას. როცა თქვენ ჩამოგიყვანეს რუსეთიდან ხელმძღვანელად, ბევრს ამისი იმედი ჰქონდა. თქვენ, ჩემის აზრით, შეგეძლოთ ასეთი დიდი მისიის შესრულება. თქვენ ხშირად აცხადებთ,რომ მოქმედების სხვა ვარიანტს ვერ ხედავთ, რადგან ასეთი ვარიანტი არ არსებობს. მე მგონია, ეს არ უნდა იყოს სწორი. ჩემს მეგობრებს ქვეყნის მართვის, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საინტერესო პროგრამები აქვთ, მაგრამ თქვენ არ უსმენთ მათ. უფრო სწორედ უბრალოდ უგულვებელყოფთ მათ შეხედულებებს. თქვენ მათ აწერთ უკიდურეს მიზნებსა და ამოცანებს, თითქოს ისინი მოითხოვენ რუსეთთან ომს, მათი მთავარი მიზანი თითქოს ხელისუფლების უზურპაციაა და ასე შემდეგ. ამითი თქვენ იადვილებთ მათთან კამათს. ამითი თავიდან იცილებთ შეხედულებების გათვალისწინებას,რომლებიც სულაც არ შეგიშლიდათ ხელს ქვეყნის მართვაში. ამას ალბათ განზრახ არც აკეთებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე გამოდის.

ბატონო ედუარდ, ძნელია იმის დაჯერება, რომ საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილ რუსეთს შეაცვლევინებთ ორიენტაციას მორჩილებითა და მოყვრად თავის მოჩვენების გზით. ამითი ჩვენ ვერ მივაღწევთ იმას,რომ რუსეთმა იზრუნოს დამოუკიდებელი, მთლიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს მშენებლობისათვის. ჩვენს მეცნიერებაში ბოლო ხანებში დადგენილი იქნა, რომ ადამიანები აღიქვამენ და სწვდებიან ერთმანეთის ზრახვებსა და განწყობებს მაშინაც, როცა ეს განწყობები არაცნობიერად მოქმედებენ და იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანები ცდილობენ დამალონ თავისი განწყობები. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ფარულად იბრძოლებთ, ხოლო ოფიციალურ პოლიტიკაში რუსეთის მიმართ სულ სხვა ორიენტაციებს გამოამჟღავნებთ, მერწმუნეთ ამისი აღქმა და წვდომა ძნელი არ იქნება თქვენი რუსი პარტნიორებისათვის. განწყობები აღიქმებიან ქცევის, მეტყველების, ნაწერის, განცხადებებისა და სხვა აქტების საფუძველზე. ამიტომაა, რომ დიდი პოლიტიკის განხორციელება მიჩქმალვის, დამალვის, მოტყუების საფუძველზე ვერ ხერხდება. ეს ყველაფერი თქვენ მშვენიერად იცით. ამიტომ შეუძლებელია რუსეთს მეგობრულად მოვექცეთ, მივცეთ ბაზები, შემოვიყვანოთ მისი ჯარი ჩვენს ქვეყანაში და ფარულად რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მთლიანობისათვის და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ვიბრძოლოთ.

ბატონო ედუარდ, ბოდიში უნდა მოგიხადოთ იმისათვის,რომ ასე პირდაპირ, მოურიდებლად გამოვთქვამ ჩემს შეხედულებებს თქვენი საქმიანობის შესახებ, მაგრამ, ჩემის აზრით,

### თქვენ როგორც სახელმწიფოს მეთაურმა ანგარიში უნდა გაუწიოთ როგორც მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების შეხედულებებს

ჩვენ გვინდა, რომ თქვენს გარშემო იყოს ატმოსფერო, რომელშიც სხვადასხვა ორიენტაციებს გაეწევა ანგარიში. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური მართვა. რეალურად კი თქვენს გარშემო მძიმე ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ვითარება იქმნება. თქვენი პოლიტიკის გულწრფელი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების გარდა, თქვენს გარშემო შეიქმნა საშოვარზე მოსული ხალხის უფრო ფართო წრე, რომელიც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის მართვაში. მათ ხელისუფლებაში გარკვეული ძალების მოყვანისათვის ბევრი რამე გააკეთეს. ეროვნული ძალების დისკრიმინაციაში ისინი დღეს დიდ როლს თამაშობენ. ისინი თქვენს გარშემო უმრავლესობას წარმოადგენენ. ძნელია მათთან ბრძოლა. ისინი თავისას მოითხოვენ. ეროვნულ ძალებს, რომლებსაც შეიძლებოდა თქვენ დაყრდნობოდით მათთან ბრძოლაში, თქვენ თანდათან შორდებით. ამიტომ მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. მართალია სტაბილიზაციის შესახებ ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ თუ რაიმე სტაბილიზირდება, ეს მაფიოზების, ყაჩაღების ძალებზე შეიძლება ითქვას. ჩამოიარეთ რუსთაველის პროსპექტზე, მიდით ეკლესიის შესასვლელთან, შედით ბაზრებში და ნახავთ რამდენი ხელგაშვერილი, დარცხვენილი ქართვე-

გაგრძელება მე -7 გვ.

### მეექვსე გვერდიდან

ლი მათხოვარი ზის. ხალხმა დაკარგა ცხოვრების საშუალება, დღეს კი სამშობლოს კარგავს, რასაც ვერავითარი მათხოვრობით ველარ მოიპოვებს."

ბატონო ედუარდ, ჩემის აზრით, საქართველოს ინტერესების გულწრფელი და აშკარა დაცვის გარეშე ჩვენს ქვეყანას არაფერი არ ეშველება. ეს უკვე ყველასთვის კარგად არის ცნობილი. რა ვქნათ, რა გავაკეთოთ ამ მიმართულებით ამის ნათელყოფას მოითხოვს დღეს ყველა. ძნელია გონივრული პროგრამის წამოყენება. მე არ ვაპირებ ასეთ პროგრამაზე ლაპარაკს, თუმცა, მე მგონია,რომ ჩემს მეგობრებს აქვთ ასეთი პროგრამა. მე სხვა წინადადება მაქვს თქვენს მიმართ. ჩემი პროფესიის გათვალისწინებით მე სხვა რამეზე მინდა გელაპარაკოთ. ჩემი მასწავლებელი, დიდი პიროვნება, დიმიტრი უზნაძე საგანგებოდ იკვლევდა ადამიანის ერთ-ერთ სერიოზულ სულიერ აქტს, რაც ფსიქოლოგიაში მეტისმეტად მძიმე, მწიგნობრივი ტერმინით გამოიხატება, მას ობიექტივაციის აქტს უწოდებენ. უზნაძემ უჩვენა,რომ როდესაც ადამიანი ძნელ სიტუაციაში იმყოფება, როცა მისი საქმიანობა ჩვეული წარმატებით ვერ ხორციელდება, იგი მიმართავს საგანგებო ფსიქიკურ აქტს ობიექტივაციის. ეს შემდეგში მდგომარეობს: იგი სწყვეტს თავის ჩვეულ აქტივობას, აჩერებს თავის აქტივობას და უფრო მაღალ სულიერ სფეროში გადადის. ყოველი დიდი ადამიანი განსაკუთრებულ ვითარებაში მიმართავს ხოლმე სერიოზულ ობიექტივაციის აქტს. ამ დროს ხდება საკუთარი შეხედულებების, საწინააღმდეგო პოზიციების, შექმნილი ვითარების და სამომავლო ამოცანების ერთ არეში თავმოყრა. ამ დროს ადამიანი ამაღლებული, ზემოდან, ფართო თვალსაწიერით იწყებს თავისი ახალი ორიენტაციის გამომუშავებას. ამ დროს ხდება ცხოვრებაში ახალი მიმართულების შემუშავება ან ძველი მიმართულების ახალი შინაარსებით გამდიდრება. ასეთი სერიოზული ობიექტივაციის აქტს, ადამიანები თავისი ცხოვრების განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავენ. ბატონო ედუარდ, საქართველოს მდგომარეობა დღეს განსაკუთრებულია. დღეს ჩვენი ქვეყანა დიდ გზაჯვარედინზე იმყოფება. მან გარკვეული გზა უნდა აირჩიოს. დღეს თქვენ დიდ ეროვნულ სულიერ პროცესში ხართ ჩართული. ერი დღეს გარკვეული ადამიანების გამოყენებით სწყვეტს თავის მომავლის საკითხს. თქვენ ამ ეროვნული აქტივობის დიდი მონაწილე ხართ. ამ გზით ჩვენი ერი და თქვენც პირადად დიდ ვალდებულებებს იღებთ. ჩვენი ქვეყნის მომავალი ცხოვრება მნიშვნელოვნად იქნება გაპირობებული ამ აქტივობით. ამიტომ, ჩემის აზრით

#### თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ სერიოზული ობიექტივაციის აქტი

აწონილი გადაწყვეტილება გამოიტანოთ ქვეყნის მომავალი გზის არჩევის საქმეში. ერის ისტორიას ასეთი სერიოზული, ობიექტივიზირებული გადაწყვეტილებების ჯაჭვი ქმნის. მეფე ერეკლე, ი. ჭავჭავაძე, ი. ჯავახიშვილი, გ. რობაქიძე და სხვა ცნობილი მოღვაწენი იმიტომ შევიდნენ ჩვენი ერის ისტორიაში, რომ მაღალ, სერიოზულ, ობიექტივაციის დონეზე სწყვეტდნენ ეროვნულ საკითხებს. ასეთ აქტში მჟღავნდება პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, მორალი, სულიერი ძალები, მაღალი ღირებულებები, ეროვნულობა.

ბატონო ედუარდ, თქვენ ვალდებული ხართ ნათლად ჩამოაყალიბოთ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი. არ ივარგებს, ჯერ გადავწყვიტოთ საკითხი და მერე გავარკვიოთ, თუ რა გაგვიკეთებია. ასეთ ვითარებაშია დღეს ქართველი ხალხი, ნუ იქნებიან ასეთ ვითარებაში სახელმწიფო მოღვაწეები.

ჩვენ გვინდა, რომ მეტი ეროვნულობა გამოიჩინოთ ამ საკითხების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეროვნული სამსახურით შედის პიროვნება კაცობრიობის ღირებულებათა სისტემაში.

პატივისცემით

შოთა ნადირაშვილი

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

### უკომენტაროდ

## ახალი რუბრიკის დაბადება

დღეიდან ჩვენს გაზეთში ახალი რუბრიკა დაიდებს ბინას, „უკომენტაროდ". ვფიქრობთ ამ რუბრიკას კომენტარიც არ სჭირდება, მაშ ასე, ჩვენი პირველი „დაუპატიჟებელი" სტუმარია პარლამენტის სპიკერის მოადგილე ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი. მკითხველს ბოდიშს ვუხდით ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვების პუბლიკაციისათვის. თუმცა ეს სიტყვები რადიოეთერში მთელი საქართველოს გასაგონად გაისმა.

ამონაწერი 1995 წ. 10 მარტის სესიის სხდომიდან (სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. რჩეულიშვილი)



ვ. რჩეულიშვილი: დიახ, დიახ, უმრავლესობა მაშინ გვჭირდება, როცა მობილიზაცია არის საჭირო (იცინის, ხმა იქვე: მერე, გამოაცხადე!) მეზარება ხოლმე, თორემ ერთხელ მობილიზაციაზე ხომ იცი, მობილიზაციას რომ გავაკეთებ... (იცინის) ზოგიერთებს, კომისიის თავმჯდომარეებს დაენძრევათ (იცინის).

როგორც ცნობილია გაზეთ „საქართველოს" რედაქციამ ღია წერილით მიმართა ქართველ ისტორიკოსებს – საკუთარი თვალსაზრისი გამოეთქვათ აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც აჭარის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემას ეხება.

ვაქვეყნებთ ერთ-ერთ გამოხმაურებას.

## ვითომ საჭიროა?

როგორც ცნობილი გახდა, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს გასული წლის 15 აპრილს სპეციალური დადგენილება მიუღია აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის შესაქმნელად და გამოსაცემად. ამ ფაქტს,რამდენადაც ვიცით, აღუფრთოვანებია აჭარაში მცხოვრებ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, ასევე მას მავანნი დადებითად აღიქვამენ საქართველოს სხვა ნაწილებშიც, კერძოდ თბილისში.

პირადად მე ვერ გავიზიარებ ამგვარ ენთუზიაზმს საქართველოს ერთი ისტორიული კუთხის (თემის) შესახებ ისტორიის ოთხტომეულის შექმნის გამო. ჯერ წმინდა მეცნიერული ხასიათის არგუმენტზე მოგახსენებთ. მეცნიერებაში საბჭოური მენტალიტეტის გამოვლინებად ვთვლი იმას, რომ „დიდი", ვითომდა ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა ნარკვევების ფორმით შესაძლებელია საშუალო დონის მეცნიერთა (ისტორიკოსთა) ნაშრომების მექანიკური შეჯამებით. ასე რომ, თითქოს მეცნიერებაში (ისტორიოგრაფიაში) ნამდვილი შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ კოლექტივის მეშვეობით, ხოლო ცალკეული პიროვნებების გადამწყვეტ როლზე ლაპარაკი ზედმეტია. განა არ მოვიდა დრო რომ ამგვარ ტრადიციას — „კოლექტიური ფოლიანტების შექმნას" (რუსი ისტორიკოსის იური აფანასიევის სიტყვებია) კრიტიკული თვალით შევხედოთ? რასაკვირველია, საშუალო, ორდინარული დონის ისტორიკოსებს, თუ მათ შესაბამისი საგანი უყვართ, აქვთ პატრიოტული გრძნობა, შეგნება და გააჩნიათ შრომისმოყვარეობა, შეუძლიათ მეცნიერებაში (ისტორიოგრაფიაში) გარკვეული წვლილის შეტანა, მაგრამ სამეცნიერო მუშაობის ბოლო ფაზა, ნამდვილი შემოქმედება — საისტორიო სინთეზი ამგვარ ადამიანთა კოლექტივს არ ხელეწიფება. აქ ასპარეზი ეშლებათ მხოლოდ ნიჭიერ ისტორიკოსებს. ყველაზე საუკეთესო ვარიანტი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ აღნიშნული ამოცანა აღასრულოს ერთმა დიდად ერუდირებულმა და მაღალნიჭიერმა ისტორიკოსმა. უფრო ნაკლებ ოპტიმალურია მეორე ვარიანტი: როცა დიდ, ფართო ხასიათის საინტერესო ნაშრომს წერს რამდენიმე ისტორიკოსი და მათ შორის შრომა განაწილებულია დიდი ისტორიული ეპოქების მიხედვით. მაგრამ როცა ამგვარ ნაშრომს წერს მრავალი ათეული ავტორი — შედეგად ნამდვილი სამეცნიერო ნაშრომის ნაცვლად ოდენ სუროგატი თუ მიიღება.

საბჭოური აზროვნებისაგან განსხვავებით ზემოაღნიშნული გარემოება მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული ჩვენს ცნობილ მოაზროვნესა და ერუდიტს გერონტი ქიქოძეს. კერძოდ, ჩვენი ისტორიის თაობაზე იგი 1959 წელს ასე წერდა: „ჩვენმა მკვლევარებმა — ვახუშტი ბატონიშვილმა, მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა არსებითად უკვე დაასრულეს ისტორიული მასალების ძიების და კრიტიკულად შემოწმების საქმე. ახლა საჭიროა ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს ისტორიას ზოგადი ფილოსოფიური თვალთახედვით შეხედავს და ერთ მონუმენტურ მხატვრულ სურათს დახატავს". თავი რომ დავანებოთ მტკიცებას ერთი უზუსტობის — ფაქტოლოგიური მუშაობის „არსებითად უკვე დასრულების" თაობაზე გერონტი ქიქოძე მართალი გახლდათ. მაგრამ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ და „დიად საბჭოეთში" მიღებული პრაქტიკის შესაბამისად ქართული ისტორიოგრაფია დაადგა სხვა — კოლექტივისტური „შემოქმედების" გზას.

და აი, ოთხმოცდარვა (!) ავტორის „თანაშემოქმედებით" შეიქმნა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეული. რომ იგი ნამდვილი ისტორია, დაფუძნებული ისტორიული პროცესის მთლიან გააზრებაზე, არაა — ეს ნათლად ჩანს მრავალტომეულის სათაურიდანაც (აქ ხომ ფიგურირებს სიტყვა „ნარკვევები" და არა „ისტორია", „ნარკვევებს" ჰყავს რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია, მაგრამ მათი ფუნქცია ოდენ საპატიო, პარადულია და ისინი ფიგურირებენ ვითარცა სამეცნიერო ბიუროკრატიის ბობოლა წარმომადგენლები. ჩვენი მეცნიერებისა და ფილოსოფიის, საერთოდ, საზოგადოებრივი აზროვნების სამწუხაროდ, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" შესახებ არ დაწერილა სერიოზული რეცენზია, სადაც წარმოჩინდებოდა ამგვარი კოლექტივისტური ნაშრომის ნამდვილი ფასეულობა (მეცნიერებისათვის დიდი არაფერი). ამ შემთხვევაში ნამდვილი შემოქმედების, საისტორიო სინთეზის მაგიერ ხელში გვრჩება ავტორთა ადრე გამოქვეყნებული შრომების მექანიკური შეჯამება, რომელიც, თუ მთლიანობაში ავიღებთ, წასაკითხადაც ისე მძიმეა, რომ საქართველოში დღემდე რამდენიმე კაცი თუ აღმოჩნდება მისი ბოლომდე წამკითხველი.

ნამდვილ შემოქმედებით გზაზე ზემოთ უკვე მოგახსენებდით. ასე რომ, თუ ბათუმელ კოლეგებს სურთ აჭარის შესახებ ნამდვილი (მაღალი ისტორიოგრაფიული ფასეულობის) ისტორია დაიწეროს, მათ გულწრფელად ვთხოვ — აღნიშნულ გზაზე სვლისაგან თავი შეიკავონ. ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ბევრი რჩება გასაკეთებელი კუთხის (თემის) წერილობითი, და არქეოლოგიური წყაროების, ეთნოგრაფიული ყოფის სპეციფიკის გამოსავლენად და შესასწავლად. ამის შემდგომ კი ადგილი უნდა ჰქონდეს გაკეთებულის საფუძველზე საისტორიო სინთეზს. განა არ მოვიდა დრო, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა ობიექტურად, კრიტიკულად გავიაზროთ ქართული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილი გზა სამოცდაათწლიანი საბჭოური პერიოდის მანძილზე, მისი (საისტორიო მეცნიერების) დღევანდელი მდგომარეობა? თუ ჩვენში ძგერს რაიმე შემოქმედებითი იმპულსი, დაე მოვიგონოთ ილიასეული ბრძნული შეგონება: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი,რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება... აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან". რაკი ასეა, დავიწყოთ საქმე. შევიკრიბოთ ერთად, ავაღორძინოთ ძველი (აწ მკვდარი!) საისტორიო საზოგადოება ან მის ნაცვლად დავაფუძნოთ ახალი. აუცილებელი როდია თბილისიდან დავიწყოთ. დაე, ბათუმი გახდეს ჩვენი მეგზური საზოგადოებისათვის ამ ფრიად საჭირო და საშურ საქმეში. ამ მხრივ კი „სამკალი ფრიად არს", მაგრამ ჯერჯერობით მუშაკნი არიან მცირენი.

თუ დროის გამოწვევას სათანადო პასუხს გავცემთ, მოვახერხებთ თეორიული, კერძოდ, მეთოდოლოგიური არსენალის განახლებას, მაშინ საქართველოს ისტორიის მრავალტომეული, სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ახლებურად დაიწერება.

ახლა მეორე, პოლიტიკური ხასიათის არგუმენტს მოგახსენებთ. თუმცა ძალზე საჭიროა საქართველოს ცალკეული კუთხეების (თემების) შესახებ მონოგრაფიები იწერებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მრავალტომეულის შექმნა უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ჯერჯერობით, საქართველოს ცალკეული კუთხის (თემის) ისტორია ისეთი მდიდარი არაა, რომ მის წარმოსაჩენად მრავალი ტომის შექმნა იყოს საჭირო და მეორე, ეს არ წაადგება საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისა და ეროვნული ცნობიერების მთლიანობის საქმეს. ეს მითუმეტეს ითქმის ამჟამინდელი ვითარების მიმართ, როცა საქართველოს მთლიანობას, ერთიანობას საკუთრივ ჩვენი და სხვათა მიზეზით დიდი საფრთხე ემუქრება. და მაშინაც კი, როცა ამგვარი საფრთხე აღარ იარსებებს, პირადად მე, როგორც ქართლური წარმოშობის ქართველი, შორს დავიჭერ თავს საქართველოს ამ ცენტრალური კუთხის (თემის) შესახებ საისტორიო მრავალტომეულის (როგორც ბ-ნი დავით ხახუტაიშვილი ბრძანებს — ათტომეულის) შექმნისაგან.

მჯერა, რომ ჩემს ამგვარ პოზიციას ბევრი ბათუმელი კოლეგა ამჟამინდელ ვითარებაშიც კი იზიარებს.

გურამ ყორანაშვილი

პროფესორი, პარლამენტის წევრი

იგორ გიორგაძე:

# ვიმეორებ, სამუშია დაპატიმრებული არ გვყოლია

6 აპრილს, საქართველოს პარლამენტის მორიგ პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ წამოიჭრა, თუ შეიძლება ასე ითქვას, — „სამუშიას თემა“. მკითხველს შევახსენებთ, რომ დალის ხეობაში, ქართული სამხედრო შენაერთების ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ სამუშია, კიტოვანის „უიღბლო ლაშქრობის“ შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში უკვალოდ იყო დაკარგული, რაც პარლამენტში საგანგებო მსჯელობის საგანიც გახდა. რამოდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატის მტკიცებით იგი უშიშროების სამსახურის მიერ გახლდათ დაპატიმრებული, ხოლო სუს-ის თავმჯდომარე ამას უარყოფდა. სიტუაცია თვით სამუშიას „გამოჩენის“ შემდეგაც კი ვერ გაირკვა: პრესაში გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ რადიოსადგურ „თავისუფლების“ კორესპონდენტთან; „დაპატიმრებული ნამდვილად ვიყავი“ — განაცხადა ზურაბ სამუშიამ. მიუხედავად ამისა, 6 აპრილს იგორ გიორგაძემ კვლავ კატეგორიულად უარყო სამუშიას დაკავების ფაქტი. ისიც აღნიშნა, რომ სამუშია მას თვალით არასოდეს უნახავს. პარლამენტს მოხსენდა, რომ სამუშია დაბლა დგას და გამოსვლას ითხოვსო. მისი ამოყვანა და სხდომაზე მიწვევა კი რატომღაც ვერ მოხერხდა. ამას მთელი კულუარული ისტორია ჰქონდა, რომლის გაშიფვრაც ცუდ დღეში ჩააგდებს რამდენიმე პირს. ინტერესი უფრო გაღრმავდა იმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს მართლა ჰყავდათ თუ არა ზ. სამუშია დაკავებული? იმავე ღამეს ჩვენმა კორესპონდენტმა მოახერხა შეხვედროდა ბატონ ზურაბს. გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს.

ზურაბ სამუშია:

# იმ მკვდარ ბიჭებს ვეფიცავარ, ბორკილებით შემიყვანეს იზოლატორში...

კორ. ბატონო ზურაბ, თქვენ ტელევიზიით განაცხადეთ, რომ დაპატიმრებული არ იყავით, მართალი გითხრათ მონტაჟს ის გადაცემა არ გავდა.

ზ. ს. ბევრია ამოჭრილი.

კორ. ან უნდა გეთქვათ ვიჯექი, ან არ ვიჯექი, არა?

ზ.ს. მათ ისე დამიხატეს სიტუაცია, რომ მე ვუთხარი, კი ბატონო. თუ ასე გაწყობთ, თუ ამით ეშველება საქართველოს მე ამას ვიტყვი-მეთქი.

კორ. ბოლოს და ბოლოს რა იყო სინამდვილეში?

ზ.ს. რომ გავიგე იმ ბიჭების დაჭერა, გამოდიოდა, რომ თუ ისინი მოტყუებულები იყვნენ, მათი შეცდომაში შემყვანი მეც ვიყავი, ამიტომ ვგრძნობდი რა მათ წინაშე პასუხისმგებლობას, ფოთში მეც ჩავბარდი. ჩამომიყვანეს თბილისში. კაგებეს შენობასთან ჩემი „ბადრაგი“ ავიდა უშიშროების უფროსთან, გიორგაძესთან. იმან ბორკილები გამოატანა, არ გაიქცესო. ის ელიავა არ არისო, რომ გაიქცეს, ასე უთქვამს ჩემს „ბადრაგს“. ასეც გადმომცა. მე ვუთხარი, კი ბატონო, თუ არ მენდობით, დამადეთ ეგ ბორკილები-მეთქი. მე ვიყო არაადამიანი, იმ მკვდარ ბიჭებს ვეფიცავარ, მე იმდენად მიყვარს ისინი და მერე ზედ დამატებულ ჩემს ოჯახს. აი, ასე ბორკილებით შემიყვანეს პოლიციის გვერდით, საგამომძიებლო განყოფილებაში. განყოფილების უფროსი არის მალხაზ სალაყაია. შემიყვანეს და იქ გავატარე 36 დღე. მე არ ვიტყვი, რომ იქ ცუდად მექცეოდნენ (ნამცხვარიც კი მაჭამეს, რომელიც მთელი ომის მანძილზე თვალით არ მინახავს), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაკავებული არ ვიყავი.

# უშიშროების სამსახურის უფროსს ბატონ იგორ გიორგაძეს

ბატონო იგორ, ინტერვიუ რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, ცხადია თქვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. მართალი გითხრათ, ბევრი ვიფიქრე, დამესტამბა თუ არა იგი, დაბეჭდვა გადაწყდა იმ აზრით, რომ საჯაროობა უფრო დაიცავს როგორც რესპონდენტს, ისე კორესპონდენტს...

საქმე იმაში გახლავთ, რომ ზურაბ სამუშია მართლაც ისეთი ახალგაზრდაა, რომლის მსგავსი მებრძოლები, სამშობლოს დამცველები, არა სიტყვით, არამედ საქმით, სამწუხაროდ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ გვხვდებიან.

ასეთი კაცი ეროვნულმა უშიშროების სამსახურმა მტერთან ბრძოლისთვის უნდა გამოიყენოს და იგი იძულებული არ უნდა ხდებოდეს თავისი სამშობლოს დედაქალაქში, რომლისთვისაც სიცოცხლე არ ენანება, არალეგალურად ცხოვრობდეს.

ბატონო იგორ, შეცდომა ზოგჯერ თვით უშიშროების სამსახურის შეფსაც მოსდის. გთხოვთ თუ ეს შეცდომა თქვენ ნამდვილად დაუშვით, რაშიც მართალი გითხრათ, ეჭვი ბევრს არ ეპარება, თქვენვე გონივრულად მოაგვაროთ ეს პრობლემა. ჩვენ ვალდებულნი ვართ სიმართლე დავიცვათ, ამასვე მოვიმოქმედებთ თქვენს მიმართ, თუკი ამა თუ იმ სიტუაციაში უსაფუძვლო ბრალდებისაგან დასაცავი აღმოჩნდებით.

პატივისცემით
ნოდარ გრიგალაშვილი

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრს აკაკი ბობოხიძეს მამის გარდაცვალების გამო.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს პარტიის წევრს რობერტ ყურაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 8. ჰიუგოს დრამის „მეფე მხიარულობს“ პერსონაჟი. 9. მუსიკალური პიესა, სადაც მთავარი თემა ხშირად მეორდება. 10. ნატურალისტური მიმართულება მუსიკაში, ოპერაში. 11. გამოჩენილი ჩილელი პოეტი. 12. 19-ე ს. გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ნოველისტი. 14. 17-ე ს. ფრანგი მწერალი, პოეტი, დრამატურგი. 15. მსახიობი ქალის ამპლუა. 16. აღორძინების ეპოქაში გავრცელებული მოკლე სატირული ლექსი ან მოთხრობა. 17. მელოდია, ჰანგი. 20. ანტიკური ხანის უდიდესი ბერძენი მოქანდაკე. 22. გერმანელი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მოღვაწეობდა საქართველოში. 24. ყოფ. საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი იდეოლოგი, მოღვაწეობდა 20—30-იან წლებში. 25. მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსი შუა საუკუნეების ევროპაში. 27. ციტრუსი. 29. ქართული საგალობელი ჩვილ ბავშვთათვის. 30. კუნძული, სადაც მოხვდა ოდისევსი, კალიფსოს ადგილსამყოფელი. 33. სააგიტაციო-სარეკლამო განცხადება. 37. ავტორის შენიშვნა პიესაში. 39. ხელოვნების დიდი ნაწარმოები. 40. მხატვრის, სკულპტორის სახელოსნო. 41. თანამედროვე ინდოელი მწერალი. 42. მხატვრული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. 43. ბგერის ან მოძრაობის თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა. 44. გზის გამკაფველი, წამომწყები.

ვერტიკალურად: 1. რაიმე ნაწარმოების გარჩევა ღირსებისა და ნაკლის გამოსავლენად. 2. ფოტო ანაბეჭდის შესწორება. 3. ადრინდელი, პრიმიტიული საფეხური ხელოვნებაში. 4. დრამატულ ნაწარმოებში ჩართული სცენა. 5. წიგნის ან ქაღალდის ფურცლის ზომა. 7. პატივმოყვარეობა, ამპარტავნობა. 11. რომის იმპერატორი I ს. 13. სოფ. ცხინვალის რ-ნში. 18. ნაწარმოები. 19. ფულის ერთეული ჩინეთში. 20. 20-ე ს. ამერიკელი მწერალი. 21. დამწყები მეზღვაური. 22. აბატ პრევოს ნაწარმოების გმირი. 23. მინერალი, ფხვნილის სახით იყენებენ ტექნიკაში, მედიცინაში. 26. ბერძენი პოეტი, ლირიკოსი 6-5-ე ს. ჩვ.წ. აღ-მდე. 28. ინტერვალი 8 ბგერას შორის მუსიკაში. 31. დიდი ნორვეგიელი დრამატურგი. 32. ცნობილი ფრანგი მხატვარი, იმპრესიონისტი. 34. 19-ე ს. ცნობილი ფრანგი მსახიობი. 35. ძალადობაზე დამყარებული მმართველობა, დესპოტიზმი. 36. პატარა მოცულობის თხელი წიგნი. 38. დოსტოევსკის „იდიოტის“ პერსონაჟი. 39. ლითონის ფორმა დეტალების სერიული წარმოებისათვის.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დია[illegible]ამიძე, გელა ეგანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მა[illegible]რაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შ[illegible] ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1000 რუბლი.
შ.კ. კუპონებში

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41